ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 65 (19507) ◆ პარასკევი, 14 მარტი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მიფრინავს „სოიუზ ტ-15“

საკლესის ცნობა

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1986 წლის 13 მარტს მოსკოვის დროით 15 საათსა და 33 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ ტ-15“, რომელსაც პილოტობს ეკიპაჟი — ხომალდის მეთაური, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი ლეონიდე დენისის ძე კიზიმი და ბორტინჟინერი, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვლადიმერ ალექსის ძე სოლოვიოვი.

ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია „სოიუზ ტ-15“ ხომალდის შეპირაპირება 1986 წლის — [illegible] დამიწისარგვლივ ორბიტაზე გაყვანილ სამეცნიერო სადგურ „მირთან“ და ეკიპაჟის მიერ დაგეგმილი სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების განხორციელება სადგურში. კოსმოსური აპარატების შეპირაპირება დასახულია 15 მარტისათვის.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „სოიუზ ტ-15“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები ლეონიდე კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი თავს კარგად გრძნობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ეკონომიკური სტრატეგია

პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის საქმიანობის მთავარი სფერო იყო და არის ეკონომიკა. სწორედ აქ იქმნება საბჭოთა ადამიანების მატერიალურად და სულიერად მდიდარი, სოციალურად შინაარსიანი ცხოვრების უზრუნველყოფის, საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევის წანამძღვრები.

მთლიანად მოიწონა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია, მისი რეალიზაციის პრაქტიკული ღონისძიებანი, სკკპ XXVII ყრილობამ თავის რეზოლუციაში ჩაწერა: პარტიის სტრატეგიული კურსის მიზანია განახორციელოს გადასვლა უმაღლესი ორგანიზაციისა და ეფექტიანობის ეკონომიკაზე, ყოველმხრივ განვითარებული საწარმოო ძალებით, მოწიფული სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობით, გამართული სამეურნეო მექანიზმით.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ძირეული საკითხია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარება. სამ ხუთწლედში უნდა განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქცია და ამ საფუძველზე გარდაქმნათ საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 2000 წლისათვის უნდა გავაორკეცოთ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, ამასთან ძირეულად, თვისებრივად განვაახლოთ იგი. ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის, აგრეთვე ზრდის ყველა ხორგანიზაციო, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორის ამოქმედების მეშვეობით ეროვნული შემოსავალი უნდა გავზარდოთ თითქმის ერთიორად, შრომის ნაყოფიერება — 2,3-2,5-ჯერ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ახალ ამოცანებს უსახავს ადამიანს. მას არა მარტო უნდა შეეძლოს ქმნადეს უახლეს ტექნიკას, არამედ ეფექტიანად იყენებდეს კიდეც მას საქმეში, ეს კი მოითხოვს ადამიანთა მომზადების მთელი სისტემის მუდმივ სრულყოფას და მათი კვალიფიკაციის და ოსტატობის განუწყვეტელ ამაღლებას, ქვეყნის ყველა დარგსა და რეგიონში სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების შეწონასწორების გეგმაზომიერ უზრუნველყოფას.

ინტენსიფიკაციის რელსებზე გადასვლა მოითხოვს სერიოზულ სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში. ჩვენი სახალხო მეურნეობა მოკლედად და დროულად უნდა გარდაიქმნებოდეს მეცნიერებაში, ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მოთხოვნილებებში პროგრესული ძვრების შესაბამისად. უფრო სწრაფად განვითარდება დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას. ამასთან დაკავშირებით ახალი მოთხოვნები აქვს წაყენებული საინვესტიციო პოლიტიკას. მან უნდა უზრუნველყოს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის სწრაფი ზრდა, მათი თავმოყრა გადამწყვეტ უბნებზე, ყოველ მანეთ დანახარჯზე პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის უმეტესი მოგების მიღება. ამასთან სიმძიმის ცენტრი ახლის შენებლობიდან გადადის მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციაზე.

მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილ და მძლავრ ეკონომიკად საბჭოთა ეკონომიკის გადაქცევა მოითხოვს ეკონომიკური ძლიერების საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. ამასთან პარტია საკვანძო როლს აკისრებს მანქანათმშენებლობას, რომელიც უნდა უშვებდეს უმაღლესი ტექნიკურ-ეკონომიკური დონის მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების სისტემებსა და კომპლექსებს. პრიორიტეტულად განვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის დაჩქარების ნამდვილი კატალიზატორები — ჩარხმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, მიკროელექტრონიკა, გამოთვლითი ტექნიკა, ხელსაწყოთმშენებლობა, ინფორმატიკის ინდუსტრია. წარმატებას რომ მივაღწიოთ ამ დარგების განვითარებაში, გვჭირდება თვისებრივი ძვრები მეტალურგიაში, ქიმიაში, საკონსტრუქციო მასალების მწარმოებელ სხვა დარგებში.

ეკონომიკის მასშტაბის გაფართოება მოითხოვს ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ეფექტიან განვითარებას, მისი სტრუქტურის გაუმჯობესებას. დაჩქარებული ტემპით განვითარდება ატომური ენერგეტიკა, სულ უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ენერგიის განახლებადი წყაროები. ამავე დროს პერსპექტივაში სათბობ-ენერგეტიკულ და სხვა რესურსებზე მოთხოვნილებათა მატება 75-80 პროცენტით უნდა კმაყოფილდებოდეს მათი ყოველმხრივი ეკონომიის გზით.

პარტიის XXVII ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, ყველა კომუნისტის, მთელი ხალხის უპირველესი ამოცანაა განუხრელად გაატარონ პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკა, შეასრულონ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარების საფუძველზე წარმატებით გადაწყდება სოციალური ამოცანები. პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მთავარი მიზანი, აღნიშნულია ძირითად მიმართულებებში, იყო და არის ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების დროს უნდა უზრუნველყოფთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის პარმონიული ეკონომიკური და სოციალური განვითარება, რისთვისაც უნდა სრულვყოთ საწარმოო ძალების განლაგება, გავაძლიეროთ განვითარების კომპლექსურობა, განვახორციელოთ რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების მეურნეობის სპეციალიზაცია, გავზარდოთ მათი წვლილი ქვეყნის ერთიანი სახალხოსამეურნეო კომპლექსის განმტკიცებასა და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში.

ყრილობის მიერ დასახულ გარდაქმნათა სიღრმე და მასშტაბურობა მოითხოვს ახალ, უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა და ამით უკეთ გამოვიყენოთ სოციალისტური გეგმიანი სისტემის უპირატესობანი და შესაძლებლობანი. ცენტრალურმა ორგანოებმა მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ საზოგადოებრივი წარმოების საერთო-სახელმწიფოებრივი, დარგთშორისი და რეგიონთშორისი პრობლემების გადაწყვეტას. ამავე დროს წამოყენებულია ამოცანა გავზარდოთ მართვის ეკონომიკური მეთოდების როლი, გაერთიანებათა და საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა და ეკონომიკური პასუხისმგებლობა. ამისათვის კი გეგმაზომიერად უნდა გადავიდეთ მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე.

„ჩვენი ქვეყნის პირობებში, რომელსაც უდიდესი და რთული ეკონომიკა აქვს, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნისათვის საჭიროა დრო და ენერგიული ღონისძიებანი, — აღნიშნა პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა. — შეიძლება წავაწყდეთ სიძნელეებს, დაზღვეული არა ვართ ხარვეზებისგანაც, მაგრამ ახლა მაინც მთავარია მიზანდასახულად, თანდათანობით ვიაროთ არჩეული მიმართულებით, შევავსოთ და სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, აღმოფხვრათ ყველაფერი, რამაც დრო მოჭამა ან ვერ გაამართლა დანიშნულება“.

სახალხო მეურნეობის ყველა დონეზე და ყველა რგოლში, ნათქვამია ყრილობის გადაწყვეტილებებში, უნდა სრულვყოთ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. ამისათვის უნდა დავაზუსტოთ ან შევიმუშაოთ დარგების მართვის ახალი გენერალური სქემები, გავითვალისწინოთ უპირატესად ორგოლიან სისტემაზე გადასვლა, შევქმნათ ერთიერთდაკავშირებულ დარგთა ჯგუფების მართვის ორგანოები. უნდა დავაზუსტოთ სამინისტროთა და უწყებათა ფუნქციები და უფლებები. მათ მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ თავიანთი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას, უმნიშვნელოვანესი პროპორციების ფორმირებას, ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას. მართვის სტრუქტურის სრულყოფის პირობებში საჭიროა მივაღწიოთ სხვადასხვა სფეროს მუშაკთა რიცხვის ოპტიმალურ თანაფარდობას, არსებითად გავამარტივოთ და გავაიაფოთ მართვის აპარატი, გაბედულად აღმოვფხვრათ ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი მუშაობაში, მკვეთრად შევამციროთ ინსტრუქციებისა და მითითებების რიცხვი.

საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, გამოხატავენ მხურვალე მისწრაფებას იშრომონ შთაგონებით, ამასთან გამოავლინონ მაღალი ორგანიზებულობა, ინიციატივა და ოსტატობა. ისინი მთელ შრომითს მეცადინეობას ახმარენ პარტიის გეგმების დროულ პრაქტიკულ რეალიზაციას, რომელთა მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ხალხის კეთილდღეობის ყოველნაირი გაუმჯობესება.

ახლა მთავარი ის არის, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მივაღწიოთ სწრაფ გარდატეხას მუშაობაში, განვახორციელოთ შემობრუნება სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ შექმნილი პოტენციალი. შრომითი კოლექტივებისადმი, ცენტრში და ადგილებზე პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისადმი, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი დღევანდელ მოთხოვნათა არსი ის არის, რომ უზრუნველყონ საუკეთესო შედეგების მიღწევა, უნარიანად გაუძღვნენ მეურნეობას ახალ ცოდნასთან და ახალ გადაწყვეტილებებთან შეძენილი გამოცდილების ორგანული შეხამების საფუძველზე. ამისათვის თითოეულ დარგში, გაერთიანებასა და საწარმოში, ყველა საამქროსა და ბრიგადაში უნდა განისაზღვროს ის რგოლები, სადაც მინიმალური დამატებითი დანახარჯებით შეიძლება უმეტესი შედეგის მიღება, და ყოველივე დასახულს გადაუდებელად საქმით შევასხათ ხორცი.

ყრილობის მიერ მიღებული გეგმების რეალიზაციისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კომუნისტებს, პარტიულ ორგანიზაციებს. სწორედ ისინი უნდა ჩაუდგნენ სათავეში მასების პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და გააგრძელონ შრომითი მეტოქეობის დროს შობილი საგულისხმო ინიციატივა. მთლიანად უნდა ავამოქმედოთ მთავარი, არსებითად ამოუწურავი რეზერვი, რომელსაც შეიცავს ადამიანის ფაქტორი, ადამიანები, მათი უნარი და სურვილი მარჯვედ და შემოქმედებითად იშრომონ, უზრუნველყონ მაღალი ორგანიზებულობა, დისციპლინა და წესრიგი თითოეულ შრომითს კოლექტივში.

პარტიის XXVII ყრილობის მასალები და გადაწყვეტილებანი მოქმედების კონკრეტული პროგრამაა მშრომელებისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. და რაც უფრო ორგანიზებული, ერთსულოვანი და შეთანხმებული იქნება ჩვენი ყოველდღიური აღმშენებლობითი მუშაობა, მით უფრო წარმატებით შევასხამთ ხორცს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ სახოგადოების გარდაქმნის დიდებულ პროგრამას.

ПРАВДА

13 მარტის მოწინავე

გამოიცა ბროშურებად

ცალკე ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის რეზოლუცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების გამო და პარტიის XXVII ყრილობის დადგენილებანი.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

• • •

ბროშურად გამოვიდა სკკპ XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ტექსტი.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

• • •

ბროშურად გამოიცა სკკპ XXVII ყრილობის მიერ ერთხმად მიღებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკლესი).

ლეონიდე დენისის ძე კიზიმი

ვლადიმერ ალექსის ძე სოლოვიოვი

ბიოგრაფიის ფურცლები

ლეონიდე დენისის ძე კიზიმი

„სოიუზ ტ-15“ ხომალდის მეთაური, პოლკოვნიკი

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ლეონიდე დენისის ძე კიზიმი დაიბადა 1941 წლის 5 აგვისტოს დონეცკის ოლქის ქალაქ კრასნი ლიმანში.

1963 წელს მან დაამთავრა ჩერნიგოვის ლენინური კომკავშირის სახელობის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებელი. შემდეგ მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალებში. აქვს „I კლასის სამხედრო მფრინავისა“ და „III კლასის გამომცდელი მფრინავის“ კვალიფიკაციები.

კოსმონავტთა რაზმში ლეონიდე დენისის ძე ჩაირიცხა 1965 წელს.

ლ. დ. კიზიმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1966 წლიდან.

1975 წელს ლეონიდე დენისის ძემ ძირითად სამუშაოს მოუწყვეტლივ დაამთავრა ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია.

ლ. დ. კიზიმმა შეასრულა ორი კოსმოსური ფრენა: პირველი 1980 წელს როგორც „სოიუზ ტ-3“ ხომალდისა და „სალუტ-6“ ორბიტული სადგურის მეთაურმა, მეორე — 237 დღე-ღამის ხანგრძლივობის ფრენა 1984 წელს „სოიუზ ტ-10“ ხომალდისა და „სალუტ-7“ ორბიტული სადგურის მეთაურმა.

ვლადიმერ ალექსის ძე სოლოვიოვი

„სოიუზ ტ-15“ ხომალდის ბორტინჟინერი

საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვლადიმერ ალექსის ძე სოლოვიოვი დაიბადა 1946 წლის 11 ნოემბერს მოსკოვში.

1970 წელს მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც მონაწილეობს ახალი ნიმუშის კოსმოსური ტექნიკის შექმნაში.

ვ. ა. სოლოვიოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1977 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში ვლადიმერ ალექსის ძე ჩაირიცხა 1978 წელს.

237 დღე-ღამის ხანგრძლივობის თავისი პირველი კოსმოსური გაფრენა ვლადიმერ ალექსის ძემ შეასრულა 1984 წელს როგორც „სოიუზ ტ-10“ ხომალდისა და „სალუტ-7“ ორბიტული სადგურის ბორტინჟინერმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი

არგენტინის, ინდოეთის, მექსიკის, ტანზანიის, შვეიცარიისა და საბერძნეთის ლიდერთა ერთობლივ წერილზე

ბატონ რაულ ალფონსინს, არგენტინის პრეზიდენტს
ბატონ რაჯივ განდის, ინდოეთის პრემიერ-მინისტრს
ბატონ მიგელ დე ლა მადრიდს, მექსიკის პრეზიდენტს
ბატონ ჯულიუს ნიერერეს
ბატონ ინგვარ კარლსონს, შვეციის პრემიერ-მინისტრს
ბატონ ანდრეას პაპანდრეუს, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს

ღრმა მწუხარებით აღვნიშნავ, რომ თქვენ შორის აღარ არის ულოფ პალმე, რომელიც გარეწარი მკვლელის მუხანათური ტყვიამ იმსხვერპლა. მისმა ტრაგიკულმა დაღუპვამ მწარედ ატკინა გული ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, რომლის შესანარჩუნებლადაც ასე მგზნებარედ და დაუღალავად იბრძოდა პალმე.

პატივცემულო ბატონებო!

საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით მინდა გამოვხატო ჩვენი ღრმა პატივისცემა იმ თანამიმდევრულობისა და მიზანსწრაფვისათვის, რომელიც ახასიათებს თქვენს მოღვაწეობას გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის. ჩვენი აზრით, თქვენი გამოსვლები ერთობლივი ინიციატივებით სრულად შეესაბამება მთელი პლანეტის მასშტაბით სახელმწიფოთა და ხალხთა კონსტრუქციული აღმშენებლობითი თანამოქმედების მოგვარების ამოცანას. მეტადრე ახლა, როდესაც სათუოა თვით ადამიანთა მოდგმის სვე-ბედი.

თქვენს წერილში გამოთქმული აზრები „ბირთვულიარაღო საყოველთაო უშიშროების შესახებ კარგად ესაბუყვისება საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის კონცეფციას, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ ახლახან დამთავრებულ სკკპ XXVII ყრილობაზე. ასეთი სისტემის ერთ-ერთი პრინციპული საფუძველი უნდა გახდეს — ამაში ჩვენ და თქვენ ერთსულოვანნი ვართ — ბირთვული იარაღის სრული და შეუქცევადი ლიკვიდაცია.

ვფიქრობ, ჩვენი თვალსაზრისი ემთხვევა ერთმანეთს იმ მხრივაც, რომ გამალებული ბირთვული შეიარაღებისა და მისი მთელი დამღუპველი შედეგებისაგან კაცობრიობის განთავისუფლების გზაზე დიდნინშენელოვანი ნაბიჯი შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს ბირთვული გამოცდის შეწყვეტა.

ცხადია, თქვენ შემთხვევით არ აღგიძრავთ ხელახლა ეს საკითხი სწორედ ახლა — ბირთვულ აფეთქებათა საბჭოთა ცალმხრივი მორატორიუმის ვადის გასვლამდე ცოტა ხნით ადრე. დამატებითი დრო, რომელიც ამერიკის ადმინისტრაციას მივეცით ჩვენი წინადადებების აწონ-დაწონვისათვის, იწურება. უსასრულობამდე ხომ არ გავაგრძელებთ მას ცალმხრივი წესით. იმით, რომ უკვე მერვე თვეა არ მოგვიწყვია არავითარი ბირთვული აფეთქება — არც გამოსაცდელი, არც მშვიდობიანი, ჩვენ ისედაც დავთმეთ ზოგი რამ როგორც სამხედრო, ისე სახალხო-სამეურნეო თვალსაზრისით.

ამასთანავე იმ მოწოდების პასუხად, თქვენ რომ მიმართეთ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რათა არ მოვაწყოთ არავითარი ბირთვული გამოცდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომდევნო უმაღლესი დონის შეხვედრამდე, დარჩენილ პერიოდში, ჩვენ ვაცხადებთ: **საბჭოთა კავშირი არ მოაწყობს ბირთვულ აფეთქებებს არც 31 მარტის შემდეგ — ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველ ბირთვულ აფეთქებამდე.**

რაც შეეხება კონტროლის პრობლემას, მინდა კვლავ გავუსვა ხაზი, რომ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ პრობლემას, ვინაიდან მოწადინებული ვართ, ყველა მორიგება განუხრელად სრულდებოდეს და ყველა მონაწილეს ჰქონდეს ამის სრული რწმენა.

ბირთვული გამოცდის აკრძალვის სფერაში კონტროლი შეგვიძლია უზრუნველვყოთ ეროვნული ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე, საერთაშორისო პროცედურების მეშვეობით — საჭიროების შემთხვევებში მოვაწყოთ ინსპექცია ადგილებზე. ჩვენ ვთავაზობთ ამერიკის მხარეს დადავქვათ, რომ ორივე მხარის მეთვალყურეებს მიეცემათ შესაძლებლობა ნაცვალგებს საფუძველზე შესაბამისი მოთხოვნით მივიდნენ გაურკვეველი მოვლენების ადგილებში, რათა აღმოფხვრან შესაძლო ეჭვები იმის თაობაზე, ხომ არ არის დაკავშირებული ასეთი მოვლენები ბირთვულ აფეთქებასთან.

ჩვენ მზად ვართ ვისარგებლოთ თქვენი წინადადებით, რა თქმა უნდა, თუ მას მეორე მხარეც დათანხმდება, — იმის თაობაზე, — რომ აღმოგიჩინოთ დახმარება ბირთვული გამოცდის შეწყვეტის შემოწმებაში, მათ შორის, ადგილებზე ინსპექციების მოწყობაში.

ეჭვსი სახელმწიფოს — არგენტინის, ინდოეთის, მექსიკის, ტანზანიის, შვეციისა და საბერძნეთის ლიდერებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მომდევნო შეხვედრის მოსამზადებლად ნდობისა და პოზიტიური ატმოსფეროს შექმნის მიზნით თავი შეიკავონ ყოველგვარი ბირთვული გამოცდისაგან ამ შეხვედრამდე დარჩენილ პერიოდში. ისინი წინადადებას აყენებენ აგრეთვე ხელი შეუწყონ ბირთვული გამოცდის შეჩერების შემოწმებას, ამასთან, ასეთი ხელშეწყობა შეიძლება გულისხმობდეს ადგილების ინსპექციასაც. ეჭვსი სახელმწიფოს ლიდერები მხარს უჭერენ უბირთვულიარაღო საყოველთაო უშიშროების ახალ კონცეფციას.

(საკლესი).

შრომითი ვასტი გრძელდება

ნოვატორთა წვლილი

გათუმი. (საკ. კორ.). ნოვატორები და გამომგონებლები სიახლეთა მაძიებლები არიან. როცა მათს ფანტაზიასა და ჩანფიქრს ფრთები ესხმება, ამით სარგებელს ნახულობს ქვეყანა. ვინ მოთვლის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სახმელეთო ორგანიზაციებსა და გემებზე რამდენი რაციონალიზატორია, რომელთა წინადადებები უკვე დაინერგა და საერთო კუთვნილება გახდა. მარტო მეთერთმეტე ხუთწლედში სანაოსნოს რაციონალიზატორებმა ათასობით წინადადება შეიტანეს, პრაქტიკულად განხორციელებული გამოგონებებისა და წინადადებების ეკონომიკურმა ეფექტმა 3 მილიონ მანეთს მიაღწია.

ნოვატორთა მუშაობის ეფექტიან ფორმად გადაიქცა რაციონალიზატორთა შემოქმედებითი ბრიგადები. ახლა ფლოტში და სახმელეთო ორგანიზაციებში სამოცდათამდე ასეთი ბრიგადაა. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა თბომავლების „დავთ გურამიშვილის“, „ზაქარია ფალიაშვილის“, სანაოსნოს ტექნიკური სამსახურის რაციონალიზატორთა წვლილი. რაციონალიზატორებმა ვალდებულება იკისრეს მეთორმეტე ხუთწლედში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიიღონ 3,5 მილიონი მანეთი ეკონომიური ეფექტი.

მიღნეული არ აკმაყოფილებთ

ამას წინათ სოციალისტური შეჯიბრების მეწინავეს, ვეგეტკორის რაიონის სოფელ ბაქედილის კოლმეურნეობის მეჩაიეს ლუდიკო ბართიას რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ეს თავმდაბალი ქალი ახალგაზრდების ერთგული მეგობარი და გულისხმიერი დამრიგებელია. იგი 40 წელია ჩაის ბუჩქებს დასტრიალებს. ყოველწლიურად ზრდის ჰექტარობრივ მოსავლიანობას, აუმჯობესებს ნედლეულის ხარისხს. შრომაში პოვა მან ხალისი, დაფასება. იყო სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი, არის პარტიის გეგეტკორის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრი, მიღებული აქვს ლენინის, წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენები...

ესოდენი დაფასება ლ. ბართიას ბეჯითმა შრომამ, საერთო საქმის ერთგულებამ მოუტანა. მხოლოდ საქმის ერთგულ მეჩაიეს შეუძლია მოუაროს ისეთ პლანტაციას, როგორიც ლ. ბართიას ნაკვეთია. იგი შეფენილია ფერდობზე, რომელსაც მანქანა ვერ უდგება და ამიტომ აგროწესებით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოს მეჩაიე ხელით ასრულებს. ამის მიუხედავად, ლუდიკომ შარშან 20 ტონამდე ნედლეული ჩააბარა სახელმწიფოს.

აი, ახლაც ენერგიულად შრომობს რგოლის წევრებთან ერთად პლანტაციაში. ბუჩქების გასხვლაში აქტიურობენ მალვინა ბაღიშვილი და ციალა ვარდია.

მათ, ისევე როგორც რგოლის ხელმძღვანელს, არ აკმაყოფილებთ ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლები. თუმცა შარშან მათ მიერ მოკრეფილი ნედლეულის 74 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

ლ. ბართიას აზრით, ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური შეჯიბრების კარგმა ორგანიზაციამ, წახალისების ახლებურმა მეთოდმა; შრომის შედეგების შეჯამების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაწეულ მუშაობას.

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

წველადობამ მოიმატა

წულუკიძე. (საკ. კორ. დ. გედევანიძე). მერძეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის მუშაკებმა ჯერ კიდევ ყრილობის დაწყების დღისათვის, 25 თებერვლისათვის პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება. ასევე დიდი გადაჭარბებით უკვე თებერვალშივეა რეალიზებული ხორცის დამზადების ორი კვარტალის გეგმა.

საგულისხმოა ის, რომ მეურნეობაში მიღებულმა მოგებამ 431 ათას მანეთს გადააჭარბა.

ახლა აქ ორგანიზებულად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები.

განუხრელად ვიღვაწოთ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

არ დავუშვათ ჩამორჩენა მეცხოველეობაში

პირუტყვის გამოზამთრება მეცხოველეობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპია. იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ეს კამპანია, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დარგის პროდუქტიულობა, ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების გადიდება. მაგრამ რესპუბლიკის ბევრმა მეურნეობამ კარგად ვერ მოაწყო პირუტყვის გამოზამთრება. მაგალითად, იანვარში შუახევის რაიონმა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა მხოლოდ 85 პროცენტით შეასრულა. მთლიანად აჭარის ასს რესპუბლიკაში თორმეტი მეურნეობიდან რვა ვერ ართმევს თავს საგეგმო დავალებებს. შუახევის რაიონის სოფელ სამოლითის კოლმეურნეობის ფერმაში პირუტყვის, განსაკუთრებით მოზარდეულის ნაკვებობა საშუალოზე ნაკლებია. ხელვაჩაურის სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანებაში პირუტყვი ანტისანიტარულ პირობებში ჰყავთ. იმავე რაიონის სოფელ ჭარნალის კოლმეურნეობაში დათბუნებული არ არის სახბორე. ნესტიან სადგომებში ჰყავთ ღორები ქობულეთის რაიონის ხალისა და ციხისძირის, ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნების კოლმეურნეობებში.

ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უაღრესად დაბალ დონეზე ეწევიან მუშაობას ჯოგის მომრავლებისათვის. ფართოდ არის დანერგული პრაქტიკაში ჩასაყენებელი მოზარდეულის მიყიდვა მოსახლეობისათვის, მაშინ, როცა ბევრ მეურნეობას ჰყავს 15 და მეტი წლის ძროხები.

დაბალ დონეზეა აღრიცხვა და ანგარიშგება. არცთუ იშვიათია უშობლების დანაკლისისა და მოზვრების სიჭარბის შემთხვევები. ასეთი ფაქტები გამოვლინდა შუახევის რაიონის სოფელ ტბეთის კოლმეურნეობაში.

არ წარმოებს ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საკვების ხარჯის აღრიცხვა ქობულეთის რაიონის სოფელ მუხალესტატეს კოლმეურნეობაში. ხბოურების არარსებული სულადობისათვის აქ ჩამოწერეს 1200 კილოგრამი რძე. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობაში — 840 კილოგრამი, ქედის რაიონის წონიარისის კოლმეურნეობაში — 1155 კილოგრამი რძე.

მოგვარებული არ არის მზა პროდუქციის ზუსტი აღრიცხვა. დაბა შუახევის კოლმეურნეობაში აწარმოებენ ყველს, მაგრამ მას შემოსავალში ატარებენ მხოლოდ 3-4-ჯერ წელიწადში. არის ფაქტები, როცა პროდუქციას საწყობს არ აბარებენ და ადგილზე ყიდიან.

დიდია ხორცის თვითღირებულება, უშვებენ საკვების გადაჭარბებულ ხარჯვას. ეს ნეგატიური ტენდენციები აღნიშნულია ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ქობულეთის რაიონებში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რაიონული აგრონომიერწვევლო გაერთიანებები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები არ ზრუნავენ შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ფერმების წევრთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, არ რაზმავენ მეცხოველეებს პირუტყვის წარმატებული გამოზამთრების ამოცანათა გადასაწყვეტად. ბევრ მეურნეობაში მეცხოველეთა შორის გაჩაღებული არ არის სოციალისტური შეჯიბრება. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, რაიკომების მიერ მიღებულია ბევრი დადგენილება მეცხოველეობისა და საკვებწარმოების თაობაზე. მაგრამ ისინი არ განუხილავთ პირველადს ორგანიზაციებში, არ გაუცნიათ ფერმების მშრომელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიღებულ დადგენილებაში არადამაკმაყოფილებლად ცნო მუშაობა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი ეწევა 1985-1986 წლებში პირუტყვის გამოზამთრების მოწყობისათვის.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონულ კომიტეტებს დაევალათ განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, დაძლიონ ჩამორჩენა მეცხოველეობაში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახაგრარიერწვლ დაევალათ განსაკუთრებული კონტროლი დაუწესონ იმ მეურნეობათა საქმიანობას, რომლებიც თავს ვერ ართმევენ სახელმწიფო საგეგმო დავალებებს, ყველაფერი იღონონ მათი უთუო შესრულებისათვის, უზრუნველყონ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის, პროდუქციის წარმოების შოცულობის ზრდა და ტემპის დაჩქარება.

(საინფორმაციო).

ᲘᲮᲐᲠᲝᲡ ᲭᲔᲠᲛᲐ...

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

„ახალი ბინა მივიღეთ და ყველანი... გულდაწყვეტილები ვართ“. „მე თვითონ მუშაკაცი ვარ, და ძალიან მატკინა გული მშენებელთა ნამუშევრის მდარე ხარისხმა. სადა აქვთ სინდისი?“. „მე რომ ომის მონაწილე არ ვყოფილიყავ და ამდენი რამ არ გადამეტანა, ალბათ, ახალ ბინაში შესვლისას ინფარქტს ვერ გადავურჩებოდი...“ ეს სტრიქონები აღებულია წერილებიდან, „პრავდას“ რომ გამოუგზავნეს თბილისიდან. სამშენებლო ხარვეზების და ბინის მდარე ხარისხის გამო საყვედურებითა და საჩივრებით არის სავსე წერილები, რომლებსაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები იღებენ. ჩაშხამებულ სიხარულზე გვწერენ თბილისის საცხოვრებელი მასივების ახალმოსახლენი. ვარკეთილისა — ამბ. ლომაძე და ამბ. გუნია, ვაშლიჯვრისა — ამბ. მაჩაიძე და ამბ. კოტორაშვილი; გლდანისა — ამბ. პავლენკო...

რედაქციის თხოვნით მკითხველთა შეკითხვებს უპასუხებენ საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე გ. მირინანაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ანდრონიკაშვილი.

— წერილის ავტორები სწორი არიან, — თქვა ამბ. მირიანაშვილმა, როცა საჩივრებს გაეცნო. — ამ ცოტა ხნის წინათ შევვამოწმეთ, როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მარშანწინდელი დადგენილება საბინაო მშენებლობის ხარისხის უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ. სამინისტროს წინადადება მიეცა განეხორციელებინა 113 კომპლექსური ღონისძიება. მათგან ნახევარი ჯერაც არ შესრულებულა. სუსტად ინერგება ბრიგადული ოჯახი. ძალზე იშვიათად ხდება კონსტრუქციების „თვლებდანვე“ დამონტაჟება. თბილისის № 1 სახლთაშენებელი კომბინატის გამოცდილება მოწმობს ამ მეთოდის დიდ სარგებლობას: „ობიექტის-პირა“. საწყობების ლიკვიდაციამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეხარდა შრომის ნაყოფიერება და შეგვემცირებინა მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი, ორჯერ იკლო შენობის დამონტაჟების ვადამ. მაგალითად, შარშან 15-სართულიანი სახლი ნორმაზე ოთხჯერ უფრო სწრაფად —45 დღეში აშენდა.

სამწუხაროდ, მოწინავეთა მიღწევები დიდი გაჭირვებით ვრცელდება და თითქმის ვერ აღწევს ჩამორჩენილებამდე. არადა, ცნობილია, საუკეთესოთა გამოცდილების გავრცელება სოციალისტური შეჯიბრების მთავარი პირობაა.

უდავოა, სამშენებლო ორგანიზაციებს მეტი მოქნილობა მართებთ. მაგრამ ისინი ხომ სახლთაშენებელ კომბინატებზე არიან დამოკიდებული. კომბინატები კი, სამწუხაროდ, წუნიან პროდუქციას უგზავნიან. აქ კარგ სამსახურს გაგვიწევდა გამჭოლი შეჯიბრება ტექნოლოგიური ჯაჭვის მიხედვით, მაგრამ მას ვერა და ვერ დააყენეს საშველი ობიექტებზე. ამიტომაც არის, რომ მშენებლები თავბედს იწყევლიან, რადგან უვარგის ნაკეთობებს იღებენ. მაგალითად, რუსთავის სახლთაშენებელი კომბინატი ისეთ პანელებს უშვებს, რომ მისგან აწყობილ სახლებში არავის არ უნდა შესახლება.

წერილებში, თქვენ რომ მიჩვენეთ, ახალმოსახლენი მიწასთან ასწორებენ უშენებლებს მრუდე კარ-ფანჯრებისა და ჭრაჭუნა პარკეტის გამო. მათი აღმფოთება გასაგებია. მაგრამ მშენებლებმაც რა ქნან, როცა მომიჯნავენი აღალატებენ. პირდაპირ გული მოგიკვდება, რომ ნახო, რა ნაწარმს უშვებენ რუსთავის, თბილისის, ქუთაისის ხის დამამუშავებელი კომბინატები, აგრეთვე სანტექნიკური მოწყობილობის, მოსაპირკეთებელი და საკეთილი მასალების საწარმოები. ქების ღირსნი არ არიან არც საწარმოო გაერთიანება „თბილისლითონნაკეთობის“ მუშაკები, რომლებიც კლიტეებსა და რკინა-კავეულს უშვებენ.

მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო ინსპექციამ მოიჯარე ორგანიზაციებს სანგარიშშორებო ანგარიშებიდან მოუხსნა 400 ათას მანეთზე მეტი იმის გამო, რომ უხარისხოდ ჭერნადათ შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მთელ რიგ საწარმოებს აეკრძალათ უსტანდარტო პროდუქციის რეალიზაცია. ამავე დროს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამსახურები ჯერ კიდევ ძეწყნარებით ეკიდებიან ჩაბარებული სახლების მდარე ხარისხს...

საუბარს განაგრძობს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ანდრონიკაშვილი, რომელიც მშენებლობის საკითხებს განაგებს.

—ბოლოს ხუთწლეულში თბილისელთა ყოველმა მეექვსე ოჯახმა გადაიბადა ახალმოსახლეობა, — თქვა მან. — მთლიანად დავაბინავეთ ბარაკის ტიპის სახლებში მცხოვრები მოქალაქენი. ერთი წლის მანძილზე საბინაო მშენებლობაში ათვისებულია 22,5 მილიონი მანეთით მეტი კაპიტალური დაბანდება, ვიდრე 1984 წელს. მაგრამ როგორიცა მაჩვენებელი არ ესტაფეტისება ხარისხობრივს. საბინაო მშენებლობის დაბალი ხარისხის გამო მწვავედ ლაპარაკობდნენ თაეიანთ გამოსვლებში. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატებიც.

რესპუბლიკის სახმშენი არ უნდა არიდებდეს თავს ამის გამო პასუხისმგებლობას. განა მისი ბრალი არ არის, ვთქვათ ის, რომ „თბილისქალაქმშენის“ გაერთიანებაში ფეხი მოიკიდა მანკიერმა პრაქტიკამ, როდესაც საექსპლოატაციოდ ჩაბარებისთვის წარადგენენ დაბალი სამშენებლო მზაობის საცხოვრებელ სახლებს? ხარვეზების გამო ბევრ „ჩაბარებულ“ სახლში დიდხნობით ვერ გადასულა ხალხი. სახლთსაშენებელი კომბინატების ხელმძღვანელები დ. მაყაშვილი, ვ. პოპოვი, დ. ხაზარაძე, ზ. ზაუტაშვილი შეეგუენ იმას, რომ მათ აკრიტიკებენ, ჯერ ოვანი დასკვნები კი მაინც არ გამოაქვთ. მუშაობენ ძველებურად — ოღონდ გეგმა შეასრულონ, და სხვას არაფერს დაგიდევენ. სწორედ ამის გამო დასაჯა ისინი ცოტა ხნის წინათ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა.

წესრიგს მხოლოდ მაშინ დავამყარებთ, როდესაც თითოეულ კონკრეტულად, პერსონალურად მოვკითხავთ მისი სამუშაო უბნისათვის. ეს პირველი. მეორეც, იმედი გვაქვს, რომ მოხდება თვისებრივი ძვრები მას შემდეგ, რაც აშენდება 1-ლი სახლთსაშენებელი კომბინატის მეორე რიგი, ხისდამუშავებელი კომბინატი და ფარისებრი პარკეტის საამქრო. უნდა აშენდეს აგრეთვე სახლთსაშენებელი კომბინატისათვის განკუთვნილი ლითონის ფორმების ქარხანა, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს კომბინატის ნაწარმის ხარისხს.

შემდეგ, თბილისში უკვე მოქმედებს საბინაო და კომუნალური მშენებლობის ორწლიანი გეგმა. ამ უწყვეტი ციკლის დანერგვა, იმედი გვაქვს, შესაძლებლობას მოგვცემს დროულად უზრუნველყოთ მშენებლობანი საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და წინასწარ დავცალოთ ტერიტორია განაშენიანებისათვის. „ორწლედის“ მეშვეობით გაერთიანება „თბილისქალაქმშენს“ განზრახული აქვს მთლიანად გადავდეს ნაკადურ მშენებლობაზე. მაშინ უკვე რიტმულად გადავცემთ სახლებს მთელი წლის განმავლობაში. გაერთიანების ერთიან კონვეიერში ჩაებმება ორი ავტობაზაც. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ, ახლებურად მოვაწყოთ მთელი კონვეიერის რგოლების შრომითი ასპარეზობა და წარვმართოთ იგი საუკეთესო საბოლოო შედეგის მიღწევად.

დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ანაზღაურების სქემე. საჭიროა ძირეულად გადაისინჯოს ბევრი ამჟამად მოქმედი ფასდება და ნორმა. ეს დაგვეხმარება მოლო მოვეღოთ მიწერებს, სამუშაოთა მოცულობის ხელოვნურ წამატებას, რაც მძიმე ტვირთად აწვება მშენებლობის თვითღირებულებას და, რაღა თქმა უნდა, მის ხარისხს.

მომდინარე ხუთწლეულში რესპუბლიკის სახლთსაშენებელი კომბინატები გადავლენ ახალი სერიების, გაუჯობესებული დაგეგმარების, მომატებული კომფორტულობის სახლების გამოშვებაზე. გაიზრდება სრული საქარხნო მზაობის ნაწარმის გამოშვება, გაუმჯობესდება მოსაპირკეთებელი მასალების ხარისხი.

ყოველივე ამას მინდა კიდევ ერთი რამ დავძინო. სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — უზრუნველყოთ 2 000 წლისათვის ყოველი ოჯახი ცალკე ბინით — თავდისთავად უდიდესი მასშტაბის ამოცანაა, მაგრამ მისი შესრულება ძალგვიძს. საბინაო პრობლემის სოციალური მნიშვნელობა და სიმწვავე განაპირობებს ამ პრობლემისადმი ჩვენი დამოკიდებულების სერიოზულობასაც. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ყოველნაირად დაეხმარება მშენებლებს აღმოფხვრან მუშაობაში არსებული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი. მაგრამ, როგორც ყრილობის გადაწყვეტილებანი მოითხოვენ, ასევე მთელი სიმკაცრით მოვკითხავთ იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვის ცუდი ხარისხისათვის.

საუბარს უძღვებოდა
გ. ლებანიძე,
„პრავდის“ კორ.

ქ. თბილისი.
„პრავდა“, 18 III. 1986 წ.

გაზაფხული მუხრანში

მცხეთის რაიონის მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში პირველად გამოიყენეს სუხხისაგან დასაცავად ბოსტნეულის გადახურვის ახალი კონსტრუქცია. „საქსათბურის“ გაერთიანების გამომგონებლის ჯონდო კვირკველიას წინადადებით შეიქმნა პოლიმერის მასალის სათბურის დასაშლელი გადასატანი კონსტრუქცია, იგი განკუთვნილია „მუხრანულის“ ჯიშის კიტრის ჩითილების გამოსაყვანად. სულ მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეები გაახარებენ პამიდვრის, კიტრის, სხვა ბოსტნეულის 20 მილიონ ცალ ჩითილს, რომლებსაც მეურნეობაში 520 ჰექტარი უკავია.

სურათზე: გამომგონებელი ჯონდო კვირკველია, მებოსტნეთა ბრიგადირი რომან ჯოჯუა და საბჭოთა მეურნეობის მუშა ირაკლი ბიჭიაშვილი ახალი კონსტრუქციის სათბურებთან.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲗ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილში „რასაც დასთესავ, იმას მოიმკი“ ლაპარაკი იყო თბილისის საქარხნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ამის გამო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ რედაქციის სწერს:

სამინისტრომ იმსჯელა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატიის გამო. დამნაშავეების ზ. ოდიშელიძის, ვ. ჩხეიძის, ს. ზაკალაშვილის და სხვა პირთა მიერ ჩადენილ ჯგუფურ დანაშაულთა ფაქტებთან დაკავშირებით ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ მოკვლევის შედეგები განიხილეს სამმართველოს ოპერატიულ თათბირზე. სამმართველოს უფროსის ბრძანებით არადამაკმაყოფილებელი ოპერატიულ-პროფილაქტიკური მუშაობისათვის საქარხნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სიხსლის სამართლის სამმებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულს ი. ტურიაშვილს, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის ყოფილ უფროსს ვ. ჩაკალოვს გამოეცხადათ საყვედური, ხოლო არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორს ბ. ქორთუას — სამსახურებრივი შეუფერებლობა. დისციპლინური წესით დაისაჯნენ მილიციის უბნის ინსპექტორები მ. ბზიშვილი, გ. ჩხიტუნიძე, სიხსლის სამართლის სამმებრო ქვეგანყოფილების მუშაკები დ. სილაგავა და გ. წოწორავა, 26 კომინტერნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორი ი. კვირიკაშვილი.

შეფუშავებულია და ხორციელდება სათანადო ღონისძიებები მომავალში მსგავსი ფაქტების აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲗ

საქართველოს სსრ „შავზღვათეგზმშენის“ სამმართველო

ბრაკონიერებმა თეგზის დაკერის მიზნით მოწამლეს გურიის წყალუხვი მდინარეები. ამასთან დაკავშირებით ჩვენს გაზეთში დაბეჭდა წერილი „პირი წყალით რომ არ ჭქონდეს სავსე“, რომლის გამო საქართველოს სსრ „შავზღვათეგზმშენის“ სამმართველოს უფროსი რ. ᲩᲐᲠᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ გვწერს:

— საქართველოს სსრ „შავზღვათეგზმშენის“ სამმართველომ შეამოწმა წერილში მოყვანილი ფაქტები და სწორად ცნო ისინი. დადგენილია, რომ 1985 წლის აგვისტოში სოფლების შემოქმედის და ზვანის მახლობლად თეგზის დაკერის მიზნით ბრაკონიერებმა მოწამლეს მდინარეები ბეჟიტი და ნატანები.

მახარაძის თეგზდაცვის სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციამ დროულად ვერ შეიტყო მომხდარი ფაქტი და საჭირო ღონისძიება ვერ განახორციელა შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებასთან ერთად დამნაშავეთა პირთა დასადგენად.

საქართველოს სსრ „შავზღვათეგმზშენის“ სამმართველომ განიხილა შემოწმების მასალები და მახარაძის თეგზდაცვის სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციის ხელმძღვანელს ბ. მკვაიას მომხდარი ფაქტის დაგვიანებით და არასრულყოფილად შემოწმებისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო თეგზდაცვის უბნის სახელმწიფო ინსპექტორს ო. გოგბრონიძეს — საყვედური.

უზრუნველვყოთ პირუტყვის გამოზამთრების წარმატებით დამთავრება

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა
1985 წლის 1 ოქტომბრიდან 1986 წლის 1 მარტის ჩათვლით
გამოზამთრების მიმდინარეობის შესახებ
(1985-1986 წელი პროცენტობით 1984-1985 წელთან შედარებით)

	კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეოთაშორისო საწარმოებში					სახელმწიფო შესყიდვა (ყველა კატეგორიის მეურნეობების მიხედვით)		
	წარმოება			პირუტყვის პროდუქტიულობა				
	პირუტყვის და ფრინველის (რეალიზაცია)	რძის	კვერცხის	საშუალო ნაწველი	საშუალო კვერცხმდებლობა	პირუტყვის ფრინველის	რძის	კვერცხის
ᲡᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ-ᲨᲘ	106	104	108	102	89	100	95	100
ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ								
ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ	119	108	157	105	109	109	98	148
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ	112	105	99	108	108	96	110	94
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲝ	107	100	104	90	106	80	104	107
ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ								
ᲐᲑᲐᲨᲘᲡ	100	129	—	121	—	93	106	—
ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ	99	91	150	113	6,5-ჯერ	95	41	2,5-ჯერ
ᲐᲒᲑᲐᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ	96	91	—	78	—	97	59	—
ᲐᲚᲐᲮᲘᲜᲘᲡ	98	91	62	53	64	86	93	29
ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ	87	107	116	103	112	78	79	107
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ	31	112	142	103	136	99	108	134
ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ	108	109	51	100	68	116	100	26
ᲒᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲘᲡ	97	108	—	88	—	81	107	—
ᲓᲝᲚᲘᲜᲘᲡ	107	102	106	106	105	128	99	98
ᲓᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ	94	97	—	97	—	99	91	—
ᲕᲐᲜᲘᲡ	99	113	32	112	41	86	99	113
ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ	126	105	107	105	100	108	111	100
ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ	94	103	101	102	104	96	106	98
ᲓᲝᲠᲘᲡ	103	112	94	104	122	88	95	87
ᲖᲣᲠᲭᲐᲐᲜᲘᲡ	112	104	103	114	102	138	108	94
ᲙᲝᲯᲝᲠᲘᲡ	92	121	43	138	55	135	123	144
ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ	105	87	112	104	121	112	92	88
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ	94	96	73	97	77	97	111	76
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ	141	115	120	117	130	100	93	116
ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ	111	100	—	105	—	78	171	—
ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ	74	117	64	106	67	106	122	37
ᲙᲐᲡᲙᲘᲡ	168	74	2,5-ჯერ	77	56	140	67	2,4-ჯერ
ᲧᲘᲐᲠᲚᲘᲡ	103	85	86	79	67	110	107	60
ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ	73	104	66	96	78	66	93	19
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ	115	114	93	118	75	94	94	114
ᲚᲔᲜᲗᲔᲮᲘᲡ	83	110	—	97	—	98	70	—
ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ	100	67	107	71	121	98	64	89
ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ	109	94	—	92	—	99	92	—
ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ	147	111	131	107	100	93	114	112
ᲛᲔᲡᲢᲘᲘᲡ	135	96	—	86	—	127	115	—
ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ	93	80	107	87	106	85	66	44
ᲝᲜᲘᲡ	109	99	—	99	—	115	75	—
ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ	91	122	—	130	—	103	112	—
ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ	87	97	108	97	117	117	83	106
ᲡᲐᲛᲔᲠᲔᲓᲘᲡ	192	106	118	106	119	102	114	108
ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ	108	120	108	118	90	99	117	102
ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ	137	107	102	120	102	159	109	100
ᲤᲝᲗᲚᲐᲕᲘᲡ	88	102	98	103	100	76	88	82
ᲤᲝᲠᲯᲝᲚᲘᲡ	90	89	109	95	107	111	74	109
ᲤᲝᲗᲢᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ	91	95	100	97	98	86	87	113
ᲪᲘᲐᲜᲝᲗᲘᲡ	88	93	40	95	60	84	83	49
ᲩᲐᲨᲣᲠᲘᲡ	90	101	100	102	99	105	97	111
ᲩᲝᲩᲮᲘᲡ	117	91	—	92	—	99	100	—
ᲬᲐᲚᲙᲘᲡ	88	115	—	112	—	101	52	—
ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ	104	101	113	104	96	101	114	108
ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲘᲡ	83	107	62	114	42	103	100	29
ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ	119	110	92	110	70	91	105	79
ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ	98	125	—	121	—	102	130	—
ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ	96	108	125	115	127	99	101	69
ᲩᲝᲩᲮᲐᲗᲐᲣᲠᲘᲡ	156	105	—	102	—	113	104	102
ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ	113	111	100	112	102	94	113	100
Ქ. ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲖᲝᲜᲐ	100	103	90	108	88	100	108	86
Ქ. ᲫᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ	110	104	—	101	—	109	93	—
Ქ. ᲙᲣᲘᲑᲘᲨᲔᲕᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ	109	108	117	106	96	100	112	124

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲓᲐᲡᲐᲜᲧᲘᲡᲘ

ᲚᲐᲖᲐᲗᲘᲐᲜᲐᲓ გამოიყურება თბილისის საშენ მასალათა კომბინატის ეზო-ყურე: გემოვნებით ტოტებშეჭრილი ხეივანი, კამკამა შადრევანი, მოვლილი გაზონები, სუფთად დაგვილი მოზაიკურფილებიანი მოედანი და ბილიკები, ოსტატურად გაფორმებული სტენდები, ლარზე ჩამწკრივებული მუშათა დინასტიების ოჯახური ფოტოსურათები, ვეება კერამიკულ კალთებში რუდუნებით გახარებული ყვავილები...

საქართველოს მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს დადგენილებით თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივი 1980 წლიდან უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოდ არის მიჩნეული. მხოლოდ ასეთი კოლექტივი შეძლებდა, რომ 1976 წლის მეორე კვარტალიდან 1984 წლის მეორე კვარტალამდე 32-ჯერ გაემარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ამდენჯერვე დაესაკუთრებინა გარდამავალი წითელი დროშა!

კომბინატის მთავარ ეკონომისტს გაიოზ მარიამიძეს მძიმევეთ აუწყვია თავისი საქმე: ყველა მონაცემს უცებ და უშეცდომოდ ასახელებს: შარშან საწარმომ პროდუქციის გამოშვების გეგმა 105,2 პროცენტით და თანაც 15 დეკემბრისათვის შეასრულა. შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმისთვისაც გადაუჭარბებიათ — იგი შეადგენს 105,2 პროცენტს. შარშან პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 0,9 პროცენტით.

საერთოდ, კომბინატმა გადაჭარბებით და 25 დეკემბრისათვის შეასრულა ხუთწლიანი დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 905 ათასი მანეთის პროდუქცია. ემზადებოდნენ რა სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, კომბინატის მშრომელებმა ორ დღეს დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით იმუშავეს და 77 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვეს.

მეთერთმეტე ხუთწლედში მეათე ხუთწლედთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა შეადგინა 34,4, ხოლო საშუალო ხელფასისამ — 32,1 პროცენტი. ბოლო ხუთწლედში მიღებული ზეგეგმითი მოგება 384 ათასი მანეთია. ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ კომბინატმა წლევანდელი პირველი ორი თვის გეგმებიც გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახეობის მიხედვით. საწარმოში ამჟამად ფაქტობრივად არ არსებობს ჩამორჩ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები
ქრონიკული

კანონმდებელია ხალხი, გონიერება, ლოგიკა

ვინ და რატომ თვითნებობს

ჩვენი კონფლიქტი დედაქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო ორგანოებთან ჯერ კიდევ 1980 წლიდან, საბინაო კანონმდებლობის მიღებამდე დაიწყო.

რედაქციაში გადამდგარი პოლკოვნიკი ს. ხ. მოვიდა. ძალზე შეწუხებულმა ასეთი ამბავი გვიამბო.

პენსიონერი ვარ, ხანდაზმულობას ვინ შეჰგუებია, მაგრამ აქამდე ბედნიერად ვრაცხდი თავს, რადგან პირადადაც პატიოსნად ვემსახურე და შვილებიც კარგი აღვზარდე სამშობლოს. ყველა დავაბინავე და ახლა ოთხი შვილიშვილის — სამი ბიჭის და ერთი გოგონას ბაბუა გახლავართ. შვილები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დოჯახდნენ (მოგეხსენებათ, სამხედრო კაცის მომთაბარე ცხოვრება). მე და ჩემმა მეუღლემ ბილისი, ჩემი სამხედრო სამსახურის ბოლო ადგილი ავირჩიეთ, როგორც იტყვიან, სკკეიდლამდე დარჩენილი დროის გასატარებლად. მეუღლე რომ გარდამეცვალა, მისი ნათესავის (რომელიც ჩემთან იყო ჩაწერილი) ამარა არ მიმატოვეს შვილებმა და შვილიშვილი გოგონა ჩამომივიდა ჩემთან საცხოვრებლად, აქვე სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა სასწავლებლად და მწუხარება შემიმსუბუქა. ეფიქრობდი მის აღზრდასა და ჩამოყალიბებაზე ზრუნვა გამიქრავებდა დარდს, თვითონაც მომხედავდა, მომსულიერებელი სახლში მეყოლებოდა, ჭამასს მომაწვდიდა და ნემსს გამიკეთებდა. საცხოვრებელი ფართობიც გვიწყობდა ხელს, თბილისში სამთვალიანი ბინა მაქვს.

დიახ, შვილიშვილის ჩამოსვლით გახარებული მე ასე ვფიქრობდი, ითიქოს ახალ ცხოვრებას ვიწყებდი, მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა ჩემი სიხარული. თურმე ასე არ ფიქრობდა რაიაღმასკომი, თურმე, როგორც იქ განმიმარტეს, ყოფილა საბჭოთა კანონი, რომელიც კრძალავს ბაბუა-შვილიშვილის ასეთ ურთიერთობას. ორი წელიწადია დავდივარ რაიაღმასკომიდან ქალაქის საბჭოში, იქიდან ისევ რაიაღმასკომში, ჩამოვლილი მაქვს რაი- და საქალაქო მილიციის საპასპორტო მაგიდები, ვიყავი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში და ჯერ ვერ გავარღვიე, ეშმაკისაგან მონუსხულ წრეს ვერ გავცდი. რას არ მაბრალებენ, რა ცოდვებს არ მაწერენ.

ერთგან მითხრეს, შვილიშვილი რად გინდათ, ცოლის ნათესავმა მოგიაროთო. ვერ დავავალდებულებ, ჩემი ხნისა და ჩემსავით მოსავლელია-მეთქი. არავი თ ა რ ი ეფექტი!

მეორეგან ნიშნის მოგებით მკითხეს: თქვენი შვილიშვილი აქ რომ ვინმეს მოეწონოს და გათხოვდესო? ღმერთმა ინებოს, მაგის რა აჯობებდა მეთქი. ვერ გაგვაცურებთ, მაშინ ვალდებული ვიქნებით ქმარიც ჩავუწეროთ ბინაშიო. მერე ურიგოს რას ხედავთ ამაში? იმას, რომ თქვენს შემდეგ თქვენს ბინას ჩვენს აღრიცხვაზე ათწლეულობით მყოფი ვეღარ მივცემთო.

აქ რედაქციის სტუმარმა ომი გაიხსენა: ეს რა ვნახე და რა გავიგონე, ფაშისტი ვერ მომერია, ვერ მომკლა და, ჩემი, საბჭოთა ხელისუფლება მასამრეხსო.

მაშინ ჩვენც აღშფოთდით, მაგრამ პროფესიულმა ჩვევამ შეგვაძლებინა არ გამოგვეხატა ეს. სტუმარი დავაშომშინეთ, მოგეფერეთ, ბოდიში მოვუხადეთ ბიუროკრატების მაგივრად, დახმარება აღვუთქვით.

მართლაც მივდექ-მოვდექით, ვავოვითნობიერდით ბინაში ჩაწერის პრაქტიკით, მოვიკითხეთ კანონი, ინსტრუქცია და ა. შ. არსებითად ბაბუასთან და ბებიასთან შვილიშვილის ჩაწერის შემზღუდველი საკაშვირო გადაწყვეტილება ან ცირკულარი ვერავინ წარმოგვიდგინა, მაგრამ ჯუბირებისა და მონუსხული, გაურღვეველი წრის არსებობაში მაინც დავრწმუნდით.

აღმოჩნდა, რომ ერთადერთი ჩვენი რესპუბლიკაა, სადაც დაუდგენელი „ზემდგომი“ ორგანოს მითითებით შემოღებულ იქნა ზემოხსენებული შეზღუდვები, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული საცხოვრებელი ფართობის ანგარებთან, უკანონოდ ხელში ჩაგდების შემთხვევები.

ჩვენი სტუმარი პოლკოვნიკის მაგალითზე შეეცადეთ აღმასკომის საბინაო სამსახურის მესვეურები სასაუბრო ლოგიკით დაგვერწმუნებინა იმაში, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სისტემას არ შეიძლება ესაჭიროებოდეს კანონი ან პრაქტიკა, რომელიც ბაბუას და შვილიშვილს ჯარძალავდეს ერთმანეთთან ყოფნას ან ერთმანეთზე ზრუნვას.

ცდა ამაო აღმოჩნდა. გადმოგვიშალეს საბინაო კ.ალეთითობის სტრუქტურული და გეოგრაფიული რეკა, ამან აქ ეს მოიმოქმედა, იმან კი იქ ისაო. მართლაც უმსგავსო ფაქტები ჩამოგვითვალეს. ჩვენს კონტრმოსაზრებაზე, ეს ხომ ულიარსმა ადამიანებმა იკადრეს, დაჰყეთ, ჩამოართვით, სამართალში უკარით თავი, ხოლო პოლკოვნიკი და პოლკოვნიკისთანა პატიოსანი ადამიანები რა შუაში არიან-თქო, ცინიკურ ად განგიცხადეს, ეს ის შემთხვევაა, რიცა მოზვერს ქათამი უნდა წავაკლათ, ბინის აღრიცხვაზე პერმანენტულად მყოფთა ინტერესებს ზოგჯერ უდანაშაულოთა ინტერესებიც უნდა შეეწიროსო.

„კომუნისტის“ საზოგადოებრივი მისაღები წელიწადში ათასობით მომსვლელ-მომჩივანს იღებს და ემსახურება. მათგან უმეტესს საჭირბოროტო საყოფაცხოვრებო საკითხს უწყვეტს. იღბლიანად არის ჟკომპლექტებული — რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განყოფილების გამგე, იურნალისტი და პედაგოგი.

და როცა ასეთი კომპეტენტური, კანონების კრებულთა მცოდნე და ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე პირების ლოგიკა არაფრად ჩაგვიგდეს, მაშინ კიდევ ერთხელ აღგშფოთდით, მაგრამ მაშინაც გვეყო მოომინება, რომ ხელისუფლების ორგანოები გაზეთში უკადრისად არ მოგვეხსენიებინა. 1981 წლის მარტში იურიდიულ თემაზე ინტერვიუ დავბეჭდეთ, სადაც განვმარტეთ საკითხის არსი. დაინტერესებულმა მკითხველმა მიიღო კონსულტაცია და კვლავ აღმასკომს მიაშურა. და აღმასკომში კვლავ კედლად დახვდნენ. დაახლოებით ერთი წლის თავზე ფოთიდან გამოგზავნილი შეკითხვის პასუხად ხელმეორედ დავუბრუნდით სადავო ვითარებას და სწორი პოზიცია განვსაზღვრეთ.

1981 წლის 24 ივნისს სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ პირველად დაამტკიცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები, და ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ მიიღო საბინაო კოდექსები, მათ შორის ჩვენც.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ 1983 წლის 4 ივნისს მიიღო საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1983 წლის პირველი სექტემბრიდან.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი არეგულირებს საქართველოს მოქალაქეების საბინაო კონსტიტუციური უფლებების დაცვას; მოქალაქეების ბინებით უზრუნველყოფას, საბინაო ფონდის ეფექტიან გამოყენებას, მოქალაქეებს შორის ბინების სამართლიან განაწილებას.

ახლა ვნახოთ რას გვეუბნება კანონი ბინაში ჩაწერის აქტზე? 63 მუხლში ნათქვამია: „დამქირავებელს უფლება აქვს დადგენილი წესით მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების თანხმობით ჩაისახლოს თავისი მეუღლე, შვილები, მშობლები, სხვა ნათესავები და შრომისუუნარო ქმაყოფაზე მყოფნი საცხოვრებელში, რომელიც მას უკავია. ასეთი თანხმობა არ არის საჭირო მშობლებთან მათი არასრულწლოვანი შვილების ჩასახლებაზე. ამ მუხლის შესაბამისად ბინაში ჩასახლებული პირნი იძენენ ოჯახის ყველა დანარჩენი წევრის თანაბრად სადგომით სარგებლობის უფლებას, თუ ჩასახლებისას არ ყოფილა სხვა შეთანხმება დამქირავებელთან და მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრებთან“.

უპირველეს ყოვლისა ამ მუხლში ლაპარაკია დამქირავებლის უფლებაზე, და არა აღმასკომის, როგორც გამქირავებლის, უფლებაზე. მხოლოდ მუხლში მითითებულია, რომ ჩასახლება უნდა მოხდეს დადგენილი წესით, ესე იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ნათესავი. შვილიშვილი რომ ბებია და ბაბუას ნათესავია და კანონიერი მემკვიდრე, ეს ნორმალური ადამიანის დავას არ იწვევს. მაშასადამე, როცა ბაბუას ან ბებიას აქვს ბინის სანიტარიული ნორმა, ვის აქვს უფლება მას უარი უთხრას შვილიშვილის ჩაწერაზე, თუკი ის საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრული ასაკისაა?

თითქოს ყველაფერს შუქი მოეფინა, საბჭოთა კანონმა ყოველმხრივ გაითვალისწინა და დაიცვა მოქალაქეთა ინტერესები.

უთუოდ!

მაგრამ აქაც ნუ ავჩქარდებით. მშრომელი და პატიოსანი ადამიანის ქვეყანაში, ხელმძღვანელობს რა სოციალისტური ჰუმანიზმით, კანონი გამონაკლისის დაშვებასაც კი აკანონებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 აგვისტოს № 678 დადგენილება, რომლითაც განსაზღვრულია ჩაწერის პირობები, მე-4 მუხლით აღმასკომის ადგილობრივ ორგანოებს საჭიროებისას აძლევს ბინაში ჩაწერის უფლებას **გამონაკლისის წესით და ბინის ფართობის მიუხედავად.**

ჰოო, საოცრებავ! გამონაკლისზე კი არა, კუთვნილზე, კანონით ბოძებულზე ოცნებობს ხალხი, საზოგადოებრივ მისაღებს დღემდე აკითხავს ამ საკითხზე მომჩივანი. მხოლოდ ორიოდ მაგალითს ვაკმარებთ მკითხველს.

მოქალაქე ქეთევან ჟღენტი წლების განმავლობაში ჩივის აღმასკომებსა და სასამართლო ორგანოებში. მასთან იზრდებოდა მისი შვილიშვილი, რომელიც, როგორც კი სრულწლოვანი გახდა, მისი ბინიდან ამოწერეს. ამჟამად 27 წლის მოწიფულ ვაჟკაცს, წესიერსა და მუყაითს, პასპორტი არ გაუჩნია, არსად ჩაწერილი არ არის. აღსანიშნავია ორი გარემოება — იურიდიული და მორალური, რომლებიც კი არ მიუთითებენ, არამედ ყვირიან, რომ მოქალაქის უფლების შეზღუდვა ყოვლად შეუწყნარებელია, დანაშაულზე დანაშაულია. პირველი: სადავო ბინა, როგორც კოოპერაციული, აშენებულია ცნობილი აკადემიკოსის ვ. ყ. ჟღენტის სახსრებით, ამჟამად კომუნალურ ფონდშია. აკადემიკოსის ქვრივს, ოთხმოც წელს მიტანებულ მარტოხელა ავადმყოფ ქალს კი შვილიშვილს აცილებენ. მეორეც: ოთხი წლის წინათ, 1982 წლის 27 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ევგენი ხარაძემ დაწერილებით აუწყა ყოველივე ეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მ. ავალიანს და კანონიერად სთხოვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პერსონალური პენსიონერის ბინაში მისი შვილიშვილი ჩაეწერათ. ამხ. ავალიანმა არათუ პასუხის ღირსი არ გახადა ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, არამედ 1984 წლის 22 თებერვალს რაიონის საპასპორტო მაგიდის უფროსს ე. ლაშაძეს და № 73 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსს ვ. ნადირაშვილს კატეგორიული ცირკულარი გაუგზავნა: „რაისაბჭოს აღმასკომი გავალებთ, თაყაიშვილის ქ. № 6-ში მცხოვრებ ქეთევან ჟღენტის სახელზე რიცხული ბინა აიყვანოთ კონტროლზე, რათა არ მოხდეს ვინმეს ჩაწერა რაიაღმასკომის გარეშე“.

ხომ არ შეშინდა პატივცემული თავმჯდომარე, მილიციაში არავის აეღო უკანონო საზღაური კანონიერი ოპერაციისათვის? „მე, პენსიონერს, რა გამაჩნია, მაგრამ ბევრიც რომ მქონდეს, ჩემი მეუღლის სახელის პატივისცემით ამ გზას ვერ დავადგებოდიო“, თქვა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ქეთევანმა.

ამ გზით კი, როგორც საზოგადოებრიობას მიაჩნია, საწუხაროდ, ბევრი უღირსი ეწერება ქალაქში. საზოგადოებრივმა მისაღებმა იცის ფაქტები, როდესაც სოციალისტური შრომის გმირისა და ვმირი დედის მეთერთმეტე შვილს ნათესავთან ჩაწერაზე ცივი უარი განუცხადეს, ხოლო ერთ ცნობილ კომბინატორს სამ მისამართზე სამი პროტეჟე „მოუყუჩეს“. ოთხ თვეზე მეტი აწვალეს საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული თბილისელი მოქალაქე, რომელმაც ტრავმა და მედალი ერთად მიიღო სამრძოლო დავალების შესრულებისას.

თუ იცის, ზომებს რად არ ღებულობსო, იკითხავს მკითხველი, და სამართლიანადაც. დიახ, არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ მკაცრი და აღმკვეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის იწერება ეს სტატია. იწერება იმისათვის, რომ მილიციაში განგებ არ დააყენონ იჭვის ქვეშ 35 წლის კაცისა და 28 წლის ქალის ქორწინება იმ განზრახვით, რომ ატარონ მანამ, ვიდრე ბედნიერი ახალდაქორწინებულები არ მიხვდებიან და ქრთამით არ გააბედნიერებენ პასპორტისტებს. იწერება იმისათვის, რომ ჯვარს არ აცვან გასაცვლელი ბინების მფლობელები, რომლებმაც საშუალება გამონახეს გაცვლით გაეუმჯობესებინათ თავიანთი მდგომარეობა, იწერება და იბეჭდება, რათა ხალხმა არ იწვალოს, წამგლეჯეზე და ბიუროკრატებზე არ იყოს დამოკიდებული, ყოფისეული სიხარული არ მოიკლოს და სიცოცხლის ხანი გაიგრძელოს. თორემ, ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ პოლკოვნიკი ს. ხ. ამ გაქსუებული, გათავხედებული ჩინოვნიკების მსხვერპლი არ გახდა, და იმის დარდს არ გადაჰყვა, რომ პატარა ბიჭივით არბენინეს საქმეზე, რომელიც ერთი მისვლით უნდა მოგვარებულიყო?

თავის დროზე ვ. ი. ლენინის ინიციატივით სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო ყრილობამ მიიღო დეკრეტი „კანონების ზუსტი შესრულების შესახებ“. ცნობილია ისიც, რომ ლენინს ეკუთვნის გამოთქმა: კანონის გვერდის აავლის წინადადებისათვისაც ასამართლებენო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, საბჭოების აღმასკომები აწი მაინც დამყარებენ წესრიგს — შეუვალ კედლად თაღლითს დაუდგებიან, მოქალაქეებს ცხოვრებას არ გაურთულებენ, ხოლო პარტიული კომიტეტები პასუხს მოთხოვენ მათ, ვინც თავნებობს.

„პრავდის“ მიმდინარე წლის 10 მარტს მოწინავეში, რომელიც სკკპ XXVII ყრილობას ეძღვნება, აღნიშნულია: „პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განუწყვეტელ განმტკიცებას, კანონების უმკაცრეს დაცვას, საბჭოთა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიების განმტკიცებას“.

კანონის შემოქმედი ხალხია, კანონი მის ნებას გამოხატავს, გონიერებას, ლოგიკას და გამოცდილებას ეფუძნება.

„კომუნისტის“ საზოგადოებრივი მისაღები.

რევოლუციის გულადი რაინდი

12 მარტს თბილისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის საატო დარბაზში გაიმართა საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერ-ლენინელის ვ. ზ. (ლადო) კეცხოველის დაბადების 110 წლისთავს. აქ შეიკრებნენ პარტიისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მეცნიერები, პარტიული მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ლადო ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ მისი ძმისწულები და შვილიშვილები. მათ შორის იყო ლ. კეცხოველი, დირექტორი მისი სახლ-მუზეუმისა გორის რაიონის სოფელ ტყვიავაში, აგრეთვე გორელების დელეგაცია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დ. სტურუამ.

მოხსენება — „ლენინური გვარდიის გამოჩენილი წარმომადგენელი“ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. მერკვილაძემ.

ლადო კეცხოველის სახელი მარად იცოცხლებს ხალხის ხსოვნაში, ვინაიდან იგი იყო ლენინური გვარდიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, რევოლუციის უშიშარი რაინდი. ლენინური „ისკრის“ იდეების ეს ერთგული თანამიმდევარი და განმახორციელებელი ამიერკავკასიაში რსდმ პარტიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი შემქმნელიც იყო. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ბაქომში იმ დროისათვის უდიდესი არალეგალური სტამბა „ნინო“. ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა კავკასიელ ისკრელთა მუშაობას.

ლადო 1903 წელს დაიღუპა მეტეხის ციხეში, სადაც პატიმრობას იხდიდა. იგი მუხანათურად მოკლა მიგზავნილმა მედილეგემ. ლადო კეცხოველის სიკვდილმა აღაშფოთა ათასობით მუშა, რომლებიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგნენ.

გორელ მშრომელთა სახელით სესიაზე გამოვიდა პარტიის რაიკომის მდივანი გ. ჯაშაშვილი.

(საინფორმ).

სოციალისტურ ქვეყნებში

ბულგარეთი ქრილოგის შესახვედრად

სოფია. ბულგარეთში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ბულგარეთის კომპარტიის მომავალი XIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

შრომითი კოლექტივები კომუნისტთა მოახლოებულ ფორუმს საწარმოო წარმატებებით აღნიშნავენ. მაგალითად, ბულგარეთის დედაქალაქში საექსპლოატაციოდ გადაეცა პრინციპულად ახალი კონსტრუქციის საცხოვრებელი სახლი, რომლის აგებისას საბინაო მშენებლობის უახლესი მიღწევები გამოიყენეს. სახლს აქვს შინაგანი მოძრავი კედლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სურვილისამებრ ბინის დაგეგმარების შეცვლას.

გდრ პარტნიორობის ნაყოფი

მეხუთასიათასე ტონა ალუმინი გამოუშვა ნახტერშტედტის (ჰალეს ოლქი) მსუბუქი ლითონების ქარხანამ. ეს მიღწევა მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბჭოთა პარტნიორებთან საყოფიერმა კოოპერაციულმა კავშირურთიერთობამ, რომელიც უკვე თხუთმეტი წელიწადია გრძელდება. ნახტერშტედტის ქარხნის პროდუქციას ფართოდ იყენებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში.

• • •

სურათზე: ნახტერშტედტის ქარხნის ერთ-ერთ საამქროში.

ადნ-საფლისი ფოტო.



უნგრეთი

ახალი ხუთწლედის სტარტზე

ბუდაპეშტი. თვისებრივი გარდაქმნების პერიოდი — ასე აფასებენ უნგრეთის სახოფლო-სამეურნეო კოოპერატივებ ი ს მშრომელები ახალი ხუთწლედის სასტარტო წელს.

გასულ ხუთწლედში ქვეყანაში მიიღეს 70 მილიონ ტონამდე მარცვალი. წლეულს გათვალისწინებულია რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 3,5 პროცენტით გაიზარდოს. მიწათმოქმედთა შეჯიბრების პირველ რიგებში არიან ისეთი კოლექტივები, როგორიცაა ნადუდვარის კოოპერატივი „წითელი ვარსკვლავი“, ოჩას კოოპერატივი „წითელი ოქტომბერი“, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის მეურნეობა კეჩკემეტის მახლობლად.

ჩეხოსლოვაკია

ინტენსიფიკაციის კურსით

ბრატისლავა. მანქანათმშენებლობისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ავტომატიზაციის, მექანიზაციის მდგომარეობასა და პერსპექტივებს იხილავენ საერთოსახელმწიფო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც სლოვაკიის ქალაქ ტრენჩინში გაიხსნა.

მის მუშაობაში მონაწილეობს 200-მდე სპეციალისტი, რომლებიც წარმოებაში ავტომატიზაციის უახლესი საშუალებების, სამრეწველო რობოტებისა და მანიპულატორების დანერგვაზე მუშაობენ.

სლოვაკია შემთხვევით არ აურჩევიათ ამ სამეცნიერო კონფერენციის მოწყობის ადგილად. ბოლო წლებში რესპუბლიკა რობოტმშენებლობის, ეკონომიკის ინტენსიფიკაციის დაჩქარების ამ მნიშვნელოვან უბანზე სოციალისტური კოოპერაციის მსხვილ ცენტრად იქცა.

ესპანეთი:

რეფერენდუმის შედეგები

მადრიდი. ესპანეთში გამოაცხადეს ნატოს წევრობის საკითხზე ოთხშაბათს მოწყობილი საერთოეროვნული რეფერენდუმის შედეგები. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, 28,8 მილიონი ამომრჩეველიდან კენჭისყრაში მონაწილეობდა 17 მილიონი კაცი (59,7 პროცენტი). მიცემული ბიულეტენების 99 პროცენტის დაანგარიშების საფუძველზე ჩრდილოატლანტიკურ კავშირში ქვეყნის მონაწილეობის (ნატოს გაერთიანებულ სამხედრო ორგანიზაციაში მისი შეუსაბამობის პირობით) სასარგებლოდ ხმა მისცა 8,9 მილიონმა ამომრჩეველმა (52,5 პროცენტმა), წინააღმდეგ — 6,7 მილიონმა კაცმა (39,8 პროცენტმა). კენჭისყრისაგან თავი შეიკავა 11,5 მილიონმა ამომრჩეველმა (40,3 პროცენტმა). შეუსაბამელი ბიულეტენები ურნებში ჩაუშვა 1,1 მილიონმა კაცმა (6,5 პროცენტმა). ბიულეტენების 1,1 პროცენტი ბათილად ცნეს. ბლოკიდან ესპანეთის გამოსვლას მხარი დაუჭირა ბასკეთის, ნავარის, კატალონიისა და კანარის კუნძულების ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას სოციალისტთა მთავრობის თავმჯდომარემ ფ. გონსალესმა კმაყოფილება გამოთქვა რეფერენდუმის გამოქვეყნებული შედეგების გამო. როგორც ცნობილია, ესპანეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ, რომელიც 1982 წელს ხელისუფლების სათავეში ჩადგომამდე იღაშქრებდა ჩრდილოატლანტიკურ კავშირში ესპანეთის მონაწილეობის წინააღმდეგ, სადაც ეს ქვეყანა ჩაითრიეს რადფინმე თვით ადრე, შემდეგ მკვეთრად შეეცალა თავისი პოზიცია და ბლოკის პოლიტიკური ორგანიზაციის წევრობის თავგამოდებული მომხრე გახდა.

„მშვიდობისმოყვარე ძალების მორალურ-პოლიტიკური გამარჯვება“ — ასე უწოდეს კენჭისყრის შედეგებს ესპანეთის კომუნისტებმა, დემოკრატიულმა პროფკავშირებმა, ომის საწინააღმდეგო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ნატოსთან კავშირის სრულ გაწყვეტას და ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას, ნეიტრალიტეტს პოლიტიკას. მილიონობით ესპანელმა, განაცხადა „ნატოდან ესპანეთის გამოსვლის სამოქალაქო პლატფორმის“ თავმჯდომარემ, ცნობილმა მწერალმა და დრამატურგმა ა. გალამ, მტკიცედ და ხათლად გამოხატა თავისი პოზიცია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინააღმდეგ. ჩვენი მომხრენი არიან ესპანეთის ახალგაზრდობა, პროგრესული ძალები, კულტურის მოღვაწეთა დიდი ნაწილი, აღნიშნა მან. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მშვიდობისა და განიარაღებისათვის მოქმედების საკოორდინაციო კომიტეტის წარმომადგენელმა კ. ოტამენდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის მოიხრენი განაგრძობენ ბრძოლას ნატოში ქვეყნის ყოფნის დამღუპველი შედეგების წინააღმდეგ. ლოზუნგი „უარვყოფთ ნატოს, გაიტანეთ ბაზები“ კვლავ აქტუალურია ესპანეთში, აღნიშნა მან.

ესპანეთის კომპარტიამ გამოაცხადა, რომ მოიიხოვს არ განახლონ ესპანეთ-ამერიკის შეთანხმება ბაზების შესახებ, აგრეთვე წინადადებას წამოაყენებს მოაწყონ საპარლამენტო გამოძიება ეროვნულ ტერიტორიაზე დისლოცირებულ ამერიკის საბჭოდრო ბაზებში ბირთვული იარაღის არსებობის თაობაზე. მუშთა კომისიების პროფკავშირული კონფედერაციის მდივანმა აგუსტინ მორენომ აღნიშნა, რომ ლოზუნგი „უარვყოფთ ნატოს“ ქვეყანაში აერთიანებს პროგრესის მთელ ძალებს, რომლებიც იღაშქრებენ ქვეყნის ტერიტორიაზე, სანაპირო წყლებსა და საპაერო სივრცეში ამერიკის ბაზებისა და ბირთვული იარაღის განლაგების წინააღმდეგ.

ესპანეთის ხალხთა, კომპარტიის სახელით მისმა გენერალურმა მდივანმა ი. გალიეგამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეფერენდუმზე ნატოში ქვეყნის მონაწილეობის წინააღმდეგ მიცემული ხმები ესპანელი ხალხის დიდი მონაპოვარია. ნატოს ხელმძღვანელების, პიერ-თებული შტატების ჩარე ის ძიუხედავად მილიონობით ესპანელი უარყოფს ნატოს, როგორც ომის იარაღს, მთ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა ამ ბლოკიდან ქვეყნის გამოსვლისათვის. ეს არის გამართული რეფერენდუმის ერთ-ერთი მთავარი შედეგი.

დასავლეთი თავს არიდებს პასუხს

მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა დიდი ინტერესით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი გაზეთ „ლუმანიტეს“ კითხვებზე. აღნიშნავენ ამ ინტერვიუს აქტუალურ და გულახდილ ხასიათს, ამასთან ხაზს უსვამენ, რომ იგი ადასტურებს საბჭოთა ხელმძღვანელობის კეთილ ნებას, ეძიოს ერთ-ერთ მტკიცე გადაწყვეტილებას იღაწოს იმ კონკრეტული პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც სსრ კავშირმა წამოაყენა ბირთვული იარაღისაგან 2000 წლის დამდეგს პლანეტის განთავისუფლების მიზნით.

ბევრ კომენტარში იგრძნობა სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ ვაშინგტონის მისწრაფებას — ჩაშალოს მიმდინარე მოლაპარაკება და გააქარწყლოს შეიარაღების შეზღუდვის შესახებ არსებული ყველა შეთანხმება და ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის ხორცშესხმას შეიძლება მოჰყვეს სრულიად უკონტროლო გამლეგებული შეიარაღების, სტრატეგიული ქაოსის ვითარება და ძირი გამოეთხაროს სტაბილურობას. ამერიკის იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საინფორმაციო სააგენტოს მიმომხილველი გამოყოფს ინტერვიუს იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს გაფრთხილებას: თეთრი სახლის მიერ შემოთავაზებული კოსმოსური სისტემის სირთულემ კაცობრიობის ცივილიზაცია შეიძლება მანქანების და, მაშასადამე, ტექნიკური უწესივრობისა და შეფერხების ძმეკლად გადააქციოსო. თუ რა სახიფათო შედეგებს შეიძლება წააწყდეს კაცობრიობა კოსმოსის მილიტარიზაციის შედეგად, ამის მრისხანე გაფრთხილება იყო ამერიკული მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „ჩელენჯერის“ დაღუპვა. ამავე დროს ცნობილია, რომ შეერთებულ შტატებში მას რეკლამას უწევდნენ როგორც ავტომატიზებული ტექნოლოგიის ნიმუშს.

მსოფლიო პრესა აღნიშნავს, რომ ინტერვიუს დროს მ. ს. გორბაჩოვმა ამომწურავი პასუხი გასცა კითხვებს, რომლებიც ეხებოდა ამჟამად საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შინაარსსა და მნიშვნელობას. დიდი გულწრფელობა ახასიათებს როგორც პასუხს იმ კითხვებზე, რომლებსაც ზშირად სვამს და „საჩოთიროდ“ მიაჩნია დასავლეთში ანტისაბჭოურ პროპაგანდას, ისე საერთაშორისო ასპარეზზე სსრ კავშირის პოზიციის გაშუქებას. ასეთი წრფელი და პრინციპული მიდგომა აშკარად არ აძლევს ხელს დასავლეთის ბურჟუაზიული პრესის ზოგიერთ ორგანოს: ფრანგული გაზეთების უმრავლესობა, მაგალითად, შეუშინდა იმას, რომ საბჭოთა კავშირის შესახებ სიმართლე გაეცნო თავიის მკითხველებისათვის, და ამჯობინა ინტერვიუს შინაარსის მიჩქმალვის გზას დასდგომოდა.

დუმილი არჩია ოფიციალურმა ვაშინგტონმაც. კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა ადმინისტრაციის რაიმე რეაქცია საბჭოთა ხელმძღვანელის ინტერვიუ ზე, თეთრი სახლის წარმოადგენელმა განაცხადა, „არაფერი ვიცი ასეთი გეგმების თაობაზეო“. ამგვარი პოზიცია უკვე კარგა ხანია ბევრი ამერიკელის უკმაყოფილებას იწვევს, რომლებიც მოითხოვენ, ადმინისტრაციამ ბოლოს და ბოლოს პოზიტიური პასუხი გასცეს სსრ კავშირის კონკრეტულ წინადადებებს განიარაღებისა და ბირთვული ომის საფრთხის შემცირების დარგში. ცნობილმა ამერიკელმა სენატორმა უ. პროქსმაირმა გააკრიტიკა მოღვაწენი, რომლებიც საბჭოთა სამშვიდობო წინადადებებს „პროპაგანდად“ ასაღებენ და მოუწოდა, კერძოდ, შეუერთდნენ საბჭოთა კავშირის მიერ გამოცხადებულ ყოველგვარი ბირთვული აფეთქების მორატორიუმს, რათა საფუძველი შეუქმნან გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტას.

უძანასკნელ საათის

● **ვაშინგტონი.** თეთრმა სახლმა კვლავ უარყო ყოველგვარი ბირთვული გამოცდის რაც შეიძლება მალე აკრძალვის იდეა. წერილში, რომელიც კონგრესის სენატს გაუგზავნა, პრეზიდენტმა რეიგანმა განაცხადა, აკრძალვის შემოღება „ამერიკის შეერთებული შტატების, მისი მეგობრებისა და მოკავშირეების ინტერესებს არ შეესაბამებაო“. თეთრი სახლის მეთაურმა გასაგებად თქვა, რომ გამოცდის განგრძობა ვაშინგტონის ადმინისტრაციას სჭირდება შეერთებული შტატების ბირთვული პოტ

ხარისხის ეტალონები—უშეღავათო

წუხს ქართული პიანინო

არცთუ ისე შორეულ წარსულში, დაახლოებით ოცი-ოცდახუთი წლის წინათ, თბილისის კლავიშიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის ძირითადი პროდუქცია — პიანინო „თბილისი“ ან „საქართველო“ საკმაოდ პოპულარული იყო. იმ დროისათვის არსებული პატარა საწარმო ვეღარ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნებს ამ ინსტრუმენტებზე და სრულიად კანონზომიერად დაისვა ძველი ფაბრიკის რეკონსტრუქცია-გაფართოების საკითხი.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. განახლებულ საწარმოს გაერთიანება ეწოდა, მას დაექვემდებარა გორის ხის დამამუშავებელი ქარხანაც. დღეს მეთაური საწარმო, რომელსაც შვიდი ჰექტარი ტერიტორია უკავია, საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს შედარებით შეუფერხებელი მუშაობისათვის.

აბკამად გაერთიანების ძირითად პროდუქციას — პიანინოს „ივერია“ ეწოდება. უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა ინსტრუმენტის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დაიხვეწა როგორც მისი კლავიატურა-მექანიკა, ისე გარეგნული ფორმა, მაგრამ რად გინდა! სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული მომხმარებლმა თანდათანობით შეაქცია ზურგი ქართულ პიანინოს და არცთუ უსაფუძვლოდ.

რა მოხდა? თურმე ყველაფერი ყოფილა ერთი რაციონალიზატორული წინადადების „ბრალი“, რომელსაც ჩაბღაუჭებიან იმდროინდელი „სპეციალისტები“ და სასწრაფოდ დაუნერგავთ. დიახ, დაუნერგავთ პიანინოს უმნიშვნელოვანესი კვანძის, ეგრეთ წოდებული ვირბელბანკის ახალი, მარტივი კონსტრუქცია. ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად, მოჭადრაკეების ენით რომ ვთქვათ, ხარისხი შეუწირავთ. იმის მაგივრად, რომ აეწონ-დაეწონათ სამქმე, ასჯერ გაეზომათ და ერთხელ მოეჭრათ, აჩქარებულან. მარტივმა ვირბელბანკმა ვერ უზრუნველყო პიანინოს სიმების აწყობა და საკრავი ინსტრუმენტის ნაცვლად მომხმარებელს ლამაზი ყუთი შერჩა ხელში.

სამოცდაათიანი წლების დამლევს აღადგინეს ვირბელბანკის დამზადების კლასიკური ტექნოლოგია და ახლა თბილისური პიანინო არაფრით არ ჩამოუვარდება სამამულო წარმოების ნებისმიერ მოდელს. უფრო მეტიც, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ პიანინოთა კორპუსები მზადდება მერქნის ბურბუშელის ფილებისაგან, თბილისური კი — ბუნებრივი მერქნისაგან. ამაზე კი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პიანინოს ხარისხი.

შედარებით უკეთესია ახლა ქართული პიანინო — თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანების პროდუქცია, მაგრამ ვეღარავის აჯერებენ ამას. პირდაპირ ზედგამოჭრილია ამ საქმეზე ანდაზა: სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო. რა ქნას გაერთიანების ხელმძღვანელობამ, როგორ მიაღწიოს მიზანს და უზრუნველყოს პროდუქციის რეალიზაცია? თქვენ იტყვით, აქ გაეზრდებული რეკლამაა საჭირო და ამას სავაჭრო ორგანიზაციებმა უნდა მოუყარონ. სწორია, მაგრამ ისინი ასე როდი მოიქცენენ: ჯერ ერთი, დაიწყეს პიანინოს ნისიად გაყიდვა თანხის წინასწარ შეუტანლად, მეორეც, ყოველ მეასე რეალიზებულ პიანინოზე „გაზ-24“ მარკის მსუბუქი ავტომობილის ურიგოდ შემენის უფლება დაიწესეს. ასეთმა რეკლამამ კიდევ უფრო დააფრთხო მომხმარებელი, სახსენებლად შეაძულა მას ჩვენებური პიანინო.

— პიანინო, — ამბობს გაერთიანების გენერალური დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ბოკოლიშვილი, — საკაბე ან საკოსტუმე ქსოვილი რომ ოდა, რომ იგი ხშირად იცვლოს ადამიანმა. ამიტომ „გაზ-24“ მარკის მანქანის ურიგოდ შეძენის მსურველი არ იყიდის 100 პიანინოს. საერთოდ, მინდა ყველამ იცოდეს, რომ სამამულო წარმოების ყველა პიანინო ერთ საწარმოში დამზადებული კლავიატურა — მექანიკით, თუ ჯარჩოთი და სიმებით კომპლექტდება. ინსტრუმენტის ფუნქციური დანიშნულების უზრუნველყოფა კი დამოკიდებული წარმოების კულტურის დონესა და მუშათა ოსტატობაზე. ჰოდა, გაერთიანების წარმოების კულტურა არ ჩამოუვარდება ქვეყნის მონათესავე საწარმოთა დონეს. რაც შეეხება მუშათა ოსტატობას, მრავალი მათგანი თავისი საქმის უბადლო მცოდნეა, ბევრ მათს მსგავსს ვერც ერთ საწარმოში ვერ ნახავთ.

აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში, მაგალითად, მოსახლეობა ადგილობრივი წარმოების სამრეწველო საქონელსა და, მათ შორის, პიანინოს ანიჭებს უპირატესობას. კარგი ხარისხის პროდუქციას სათანადო, მაღალ დონეზე გააზრებული რეკლამითაც უზრუნველყოფენ და არ „ამეავებენ“ საწყობებში.

რესპუბლიკაში კი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან შემოტანილ 9-10 ათას ცალ პიანინოს ყიდიან. არადა, შარშან, მოსკოვში მოწყობილ ბაზრობაზე საქართველოს პიანინომ კარგი შეფასება დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა მიმდინარე წლისათვის სარეალიზაციოდ ჩვენი წარმოების მხოლოდ 800-მდე პიანინო დაგვგმეს, დანარჩენ 8-9 ათას ცალს გარედან შემოიტანენ.

მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობის თხოვნით გამოიყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა პიანინო „ივერიას“ ხარისხის შემოწმება. კომისიის შემადგენლობაში მოწვეული მუსიკოსების თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლის ე. ბეტმანის, ამავე კონსერვატორიის უფროსი მასწავლებლის, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის თ. ახობაძის დაკულტსაყოფაცხოვრებო მაღაზიის საქონელმცოდნეების დასკვნით, თავისი ეროვნებითა და კონსტრუქციით „ივერია“ სამამულო წარმოების პიანინოებს არ ჩამორჩება. არა, მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს მას არ ვადარებთ, კომისიამ და, კერძოდ, მუსიკოსებმა გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები და მათ ოპერატიულად გაითვალისწინებს ხელმძღვანელობა და აღმოფხვრის ნაკლოვანებებს.

პიანინოს გარდა გაერთიანება აკუსტიკურ გიტარასაც უშვებს; მაგრამ მომხმარებლები არც მას იტაცებენ. საქმე ის არის, რომ მისი პირველი ფასი — 15 მანეთი სრულიად უსაფუძვლოდ გაადიდეს 21 მანეთამდე. ფასების ნელოვნური ზრდა როგორ უშველის საქმეს, როცა სხვა საწარმოების მიერ გამოშვებული ანალოგიური პროდუქციის საცალო ღირებულება ძველ დონეზე დარჩა? ძვირად ღირებული პროდუქცია ჩაწვა მაღაზიებში, მას სათოფედ აღარ ეკარებიან.

გაერთიანების ხელმძღვანელობა, კოლექტივი გულწრფელად განიცდის ასეთ საქმის ვითარებას და სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს პროდუქციის ხარისხის შემდგომი მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. იქმნება სტანდარტული ნედლეულის სოლიდური მარაგი. პიანინოსა და გიტარების დამამზადებელი უბნები კომპლექტდება თანამედროვე დიდმწარმოებლური დანადგარებით, წარმოებიდან მთლიანად მოიხსნება მძიმეელებული მოწყობილობა. განახლებულ საწარმოში მომავალი წლიდან როიალის წარმოებასაც აითვისებენ, დაიწყებენ აგრეთვე ხალხური საკრავების — ჩონგურისა და სალამურის დამზადებას. მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა კალიკიური ინსტრუმენტების პრესტიჟის აღსადგენად.

შ. ამაშუკელი.

...იტყვის მართალს და მზიანსა!

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲚᲘᲐ

— ᲑᲐᲜᲫᲘᲡ

ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

ᲑᲐᲜᲫᲐ, გეგეჭკორის რაიონში ერთ-ერთი დიდი, მჭიდროდ დასახლებული სოფელია, სრულიად თანამედროვე იერით; აქ არის ოჯალეშის ჯიშის მევენახეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა, ჩაის ფაბრიკა, სასოფლო ბიბლიოთეკა, კლუბი, კულტურის სახლი, საავადყოფო, აფთიაქი, ბავშვთა ბაგა-ბაღები, სპორტული დარბაზი და მოედნები, 110 წლის წინათ გახსნილი სკოლა. დაახლოებით ამდენივე ხნის ისტორია აქვს ბანძაში ცნობილი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის მელქისედეკ ფაღავას ინიციატივით და წყალტუბოელი ალექსანდრე იოსელიანის რეჟისორობით აგებულობრივი ინტელიგენციის ძალებით „ვენეციელი ვაჭრის“ წარმოდგენას.

მაშინ საქართველოში პირველად დაიდგა უ. შექსპირის ეს პიესა თარგმნილი დავით ყიფიანის მიერ.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ბანძის ისტორიაში გახლავთ ის, რომ მელქისედეკ ფაღავას მოწვევით, დიდი ქართველი მწერალი, საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის გამოჩენილი მებრძოლი — ილია ჭავჭავაძე 100 წლის წინათ სტუმრად ეწვია ბანძას, რომელსაც ადგილობრივი და მახლობელი სოფლების მცხოვრენი უდიდესი სიხარულით, სიამაყით და განსაკუთრებული პატივისცემით შეხვდნენ.

დიდი ილიას მოგზაურობა თბილისიდან ქუთაისს, ხონს, გორდს, ბანძასა და ზუგდიდში დაკავშირებული იყო იმასთან, რომ სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის შვილმა — ნიკო დადიანმა წინაპართა მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე შექმნილ საოჯახო ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური წიგნები და ხელნაწერები საჩუქრად გადასცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და მეთაური გახლდათ ილია ჭავჭავაძე.

აღნიშნული ხელნაწერები და წიგნები ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, რითაც უხვად სარგებლობენ დაინტერესებული მკითხველები.

ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ დიდი ილიას ეს მოგზაურობა მხედველობიდან არ გამორჩენია მელქისედეკ ფაღავას, რომელიც ილიას და მის თანამებრძოლ პირებს შეხვედრია ქუთაისში და მიუპატიჟნია ბანძაში.

გორდიდან დაბრუნებულ ილიას და მის თანმხლებთ ხონში დახვედრიათ მ. ფაღავასაგან გამოგზავნილი რჩეული ცხენოსნები.

ილია მისთვის სპეციალურად განკუთვნილ ბედაურზე შემჯდარა და სხვებთან ერთად ცხენოს-წყლის ბორანზე გაევლით გამგზავრებულა ბანძაში.

აი, რას წერს მ. ფაღავას ოჯახში დიდი ილიას სტუმრობის შესახებ გამოჩენილი მწერალი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი თავის წიგნში „რაც გამახსენდა“. „ბანძაში ვიყავით სტუმრად ნათესავებში. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ფართო ეზოში ცხენი შემოაქანეს წერწეტა მეგრელმა ბიჭმა და მამას გადასცა „ჭანჭანიძე“ მოდის შენთანო. ჩვენ ვერ გავიგეთ ვინ იყო ეს „ჭანჭანიძე“, მაგრამ მამას სცოდნოდა, რომ ილია უნდა ჩამოსულიყო, დიდად გაიხარა და ბალხის, მისი სამამაყო შვილის — ჩვენც გვახარა ეს ამბავი.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ეზოში შემოვიდა 20-25 ცხენოსანი, რომელთა შორის, სხვებზე ცოტა წინ იონა მეუნარგიას თანხლებით გამოჩნდა კარგ ბედაურზე მჯდომი პირბუდაღი და თვალბმაცინარე ადამიანი, მამა რომ მიეგება, ვიცანით ეს ილია იყო: „გავიგე აქ ყოფილხარ ნიკო და გულმა არ მომითმინა არ მენახე“. და აი აქ იყო, რომ პირველ დაირხა ილიას ცნობილი ფრაზა — „სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავო“. აქვე გაგახსენებთ შალვა დადიანის მამის — ნიკოს მიერ ილიასადმი ექსპრომტად თქმულ სიტყვებს: „იმას ვერა გავს ვერავინ, გრძნობის მცოცხლები მწერალი, ღომია, ოდეს განრისხდეს, მუდამ ძმობისა მოერალი. იტყვის მართალს და მზიანსა, უპყრია მართლის მწვერვალი, არის მზე-ქვეყნ, მხნე-მსრბოლი, მედგარი მოუფერალი“.

40-იან წლებში, აბაშაში მუშაობის დროს, მაშინ უკვე საკმაოდ ხანდაზმულმა, მაგრამ მხნე და გამრჯე ადამიანმა — მელიტონ სიკოს ძე ფანცულაიამ, რომელიც დასწრებია დიდი ილიას სტუმრობას ბანძაში, მიამბო:

„კარგი, მზიანი ამინდი იდგა, სტუმარ-მასპინძელი სიამოვნებით მიუსხდა ცნობილი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის მეკი ფაღავას ოჯახში მისი შეუღლის ქალბატონ დარიას ძმერ კოლუბური ლაზათითა და გემოვნებით გაწყობილ სუფრას. სადაც, პირველ შეკრებას საქართველოს ... ქართველი მოსულიყო, დიდად გაიხარა და ბალხის, მისი სამამაყო შვილის — ჩვენც გვახარა ეს ამბავი.

... ილიას და მისი თანმხლებ პირებს ბანძის ცენტრში ელოდნენ. ბალხის ტბეა არ იყო, აქ მოსულიყვნენ არა მარტო ბანძის მცხოვრებნი, არამედ მის ახლომდებარე სოფლებიდანაც... ილია თავაზიანად და ღიმილით ესალმებოდა დამხდურთ, რამდენიმე ცხენოსნის თანხლებით იგი გაემგზავრა ნოქალაქევისაკენ. ბანძაში ილიას ყოფნა, თქვა ბოლოს ბატონმა მელიტონმა, — ჭეშმარიტად დაუვიწყარი. ნამდვილად საერთოსახალხო დღესასწაული იყოო...

ილია ჭავჭავაძე და მისი თანმხლებნი შემდეგ ქ. ზუგდიდს ესტუმრნენ, სადაც მათ სპატივცემულოდ შეკრებილ მრავალრიცხოვან ხალხს ილიამ სიტყვით მიმართა.

კარგი იქნება, ილიას დაბადების 150 წლისთავისათვის, 100 წლის წინათ მისი სტუმრობის დასტურად ბანძაში, ზუგდიდსა და ცაიში დაიდგას მემორიალური დაფები, სათანადო წარწერებით!

ალ. კოკაია,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, დოცენტი.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შემდგომი სრულყოფის, მშრომელთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის საქმეში საზოგადოებრივი ინიციატივის როლის გაძლიერების საკითხები განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ქვეყნის კომუნისტთა ფორუმზე. საქინფორმის კორესპონდენტმა ლ. გაგუამ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ვ. ასათიანს სთხოვა ეამბნა, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გარდაქმნა ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად.

— დიახ, სწორედ რომ გარდაქმნა! — ასე დაიწყო საუბარი მინისტრმა, — მისი საკვანძო მომენტები თვით ყრილობის სამზადისშა გამოავლინა. შარშან მიღებულ იქნა პარტიისა და მთავრობის რვა დადგენილება, რომლებიც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის პრაქტიკულად ყველა სფეროს შეეხებოდა. ამ გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულია კულტურის მართვის სისტემის ის სიახლე, რომელიც შეესაბამება ამოცანებს, პარტიამ რომ დასახა მშრომელთა ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის, სულიერი დახვეწის, მთელი თავისუფალი დროის ორგანიზაციის, მხატვრული შემოქმედების განვითარების საქმეში.

იმ დროის რაოდენობის შერჩევითი ანალიზი, რომელსაც მოსახლეობა ატარებს კულტურის დაწესებულებებში, არასახარბიელო პასუხს გვაძლევს. ამ დაწესებულებებში, გასასაუთრებით სოფლად, საშუალოდ ერთი კაცი ატარებს თავისუფალი დროის დაახლოებით სამ პროცენტს, ხოლო კლუბების დატვირთვა მათი შესაძლებლობების სულ 30 პროცენტს შეადგენს.

რესპუბლიკაში მწვავედ დგას კულტურის მუშაკთა კადრების მომზადების საკითხი. დღესდღეობით მათგან მხოლოდ სამ პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება, 9,8 პროცენტს — საშუალო სპეციალური, ხოლო დანარჩენებს — მხოლოდ საშუალო. უფრო მეტიც: სხვადასხვა დროს გვრმა ყოფილმა პასუხისმგებელმა მუშაკმა „შეიცვალა კვალიფიკაცია“ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სისტემაში იპოვა მყუდრო ადგილი, სადაც შეეძლო უზრუნველად ყოფილიყო. ისინი თავად არ იზრდებოდნენ და, ბუნებრივია, არც სხვების აღმზრდელებად გამოდგებოდნენ. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება მოგვეწყო რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკთა კადრების სრული ხელახალი ატესტაცია, რათა ამ სამუშაოზე დარჩენილიყვნენ ძირითადად ენერგიული, შემართებული ახალგაზრდები, რომლებიც თვითონაც სამუშაოზე და სხვებსაც აღვნთებენ მგზნებარე იდეებით.

ახლა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკთა კადრების სწორ მომზადებასა და შერჩევა-განაწილებაზე დიდად არის დამოკიდებული დარგის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა. აქედან, აღნიშნული მუშაკებისათვის სათანადო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასთან ერთად, ჩვენ ფართოდ გაშოვიყენებთ ძალი ხელფასის 30-პროცენტიანი სართის დაწესების უფლებას, სხვა შეღავათებს, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებებით არის გათვალისწინებული. საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტთან წელს შემოღებულ იქნა დაუსწრებელი სწავლება, მიმდინარეობს მუშაობა, რათა გაფართოვდეს ბინი სფერო უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროცესში. მაგრამ ეს შედარებით ხანგრძლივი პროცესია, კადრები კი ახლავე გვჭირდება. იმედი გვაქვს, რომ უფრო ფართოდ გამოვიყენებთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალგაზრდა პედაგოგებს.

კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნა იმით უნდა დაიწყოს, რომ ხელი აიღოთ ისეთ ღონისძიებათა მოწყობის ფეხმოკიდებულ ფსიქოლოგიურ განწყობაზე, რომლებიც არავის არ აინტერესებს, არვინ კითხულობს, როგორია მათი უკუგება, მოსწონთ თუ არა ეს ღონისძიებანი ადამიანებს, მუშაობის მოძველებული ფორმებისა და მეთოდების ნაცვლად უნდა ვეძებოთ ახალი. ჩვენ ფართოდ ვიყენებთ სხვა რესპუბლიკების დადებითს გამოცდილებას და ვეძებთ ჩვენს საკუთარ გზებს, მეტადრე, საქართველოს მთის რეგიონებში გამოსაყენებლად. ბაგალითად, გადაწყდა სამი რაიონი — ონი, ახმეტა და ზესტაფონი მთლიანად უზრუნველვყოთ კულტურულ-საგანმანათლებლო სპეციალისტებით, შევუქმნათ მათ მუშაობის ყველა პირობა, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უზრუნველვყოთ მათდამი შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შეფობაც. ყოველივე საუკეთესოს, რასაც ეს პრაქტიკა წარმოშობს, ჩვენ დავნერგავთ კულტურის სხვა დაწესებულებებშიც.

გარდაქმნის გზები

მასების ფართო მოცვის დიდი შესაძლებლობანი აქვთ გამსხვილებულ კულტურულ-სპორტულ კომპლექსებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველგან როდი აფასებენ მათს სპეციფიკას. კომპლექსი — ეს არის არა ახალი დაწესებულება, არამედ განსხვავებული ხასიათისა და სხვადასხვა უწყების ორგანიზაცია-დაწესებულებათა ერთობლივი საქმიანობის ახალი ფორმა. მთელ სისტემას ბრწყინვალე მაგალითი მისცა ხობის კულტურულ-სპორტულმა კომპლექსმა, რომელიც ამ დღეებში ზედიზედ მესამედ გახდა სამი კავშირის კულტურის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშის მფლობელი.

პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. გვაქვს საერთო ძალისხმევის წარმატებული კოორდინაციის სხვა მაგალითებიც. რესპუბლიკის ბევრ რაიონში დაიდო საქმიანი ხელშეკრულებანი რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებთან, რომელთა მეშვეობითაც მტკიცდება კულტურის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხოლო მათთვის საჭირო მომავალ სპეციალისტებს ამზადებენ უმაღლესი სასწავლებლები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიმართვით. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ კულტურულ-სპორტული კომპლექსების ორგანიზაციაში ჩვენ დღესდღეობით მივაღწიეთ მხოლოდ დიდ მასობრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-სპორტულ ღონისძიებათა ერთობლივი და შეთანხმებული მომზადების დონეს. რა თქმა უნდა, ამ მუშაობის მიზანი გაცილებით უფრო ღრმაა. ეს გახლავთ კულტურული სფეროს ყოველდღიური აღმზრდელობითი ზემოქმედების ერთიანი სისტემის შექმნა და ამ დონემდე უნდა ავამაღლდეთ.

დასახულის განხორციელება სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ყველგან როდია შექმნილი კულტურის დაწესებულებათა ნორმალური საქმიანობის პირობები. მაგალითად, რესპუბლიკის საკლუბო დაწესებულებათა 44 პროცენტი განლაგებულია მოუმარჯვებელ შენობებში, 80 პროცენტი არ თბება ზამთრობით, ათასზე მეტი კლუბი კაპიტალურ რემონტს საჭიროებს. გვიანდება იმ საკითხის გადაწყვეტა, რომ საკლუბო მუშაობისათვის შენობები გამოყენებულ იქნეს მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად. ხაკლებად გამოიყენება ამ მიზნით საცხოვრებელ სახლებში, ახალგაზრდობის საერთო „საცხოვრებლებში“ არსებული წითელი კუთხეები.

მეთორმეტე ხუთწლედში დიდი ყურადღება დაეთმობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. ამას გვისახავს მიზნად პარტიისა და მთავრობის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებანი.

„ბევრი რამ არის დამოკიდებული საზოგადოებრივ ინიციატივაზე, მოსახლეობის თვითმოქმედებაზე, მაგრამ ქალაქად და სოფლად, შრომითს კოლექტივებში ხშირად ზითითებს მოელიან და ზემოდან დახმარების იმედი არიან“, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში პარტიის XXVII ყრილობისადმი.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით გამოვიყენოთ „უფლებები, რომლებიც კოლექტივებს აქვთ მინიჭებული კულტურულ მშენებლობაში ფართო მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენ ყოველნაირად შევუწყობთ ხელს მათთან ღონისძიებების კოოპერირებას. მაგალითად, ამ საქმეში ჩვენთან აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს მრავალი რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებებმა, საქართველოს საავტომობილო გზათა სამინისტრომ, რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა.

კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის შემდგომი მუშაობის მთავარი ორიენტირია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი. ისინი ზუსტად განსაზღვრავენ საბჭოთა ადამიანის იდეური და სულიერი დახვეწის ამოცანებს.

ᲐᲕᲢᲝᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲒᲠᲔᲑᲐ

ᲒᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). გაიმართა რაიონის სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკთა შეკრება, რომელმაც განიხილა მოძრაობის უსაფრთხოებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები და მისი შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები.

შეკრების მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ამოცანებზე, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ დასახა ავტოტრანსპორტელებს.

ვიშრომოთ დიდნაყოფიერად, გადავზიდოთ რაც შეიძლება მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი და ამასთან ზედმიწევნით დავიცვათ მაგისტრალებზე მოძრაობის წესები, — ასე ჩაწერეს ავტოტრანსპორტელებმა მიღებულ დადგენილებაში.

ᲐᲕᲢᲝᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

14 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ბანძის ზღაპარი“. 10.05 — ხალხური შემოქმედება — „მე ჯავახეთს რა მიშავდა“ (განმეორებით). 10.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ძმა“. 11.40 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფირმის საიდუმლოება“. 12.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „ტვირთი“, „ადამიანი დაიბადა“. 13.10 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.40 — საინფორმაციო გამოშვება. 13.55 — ხალხური შემოქმედება „ხელიხელ საგოგმანები“... 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო“. საქართველოს კინემატოგრაფისტთა მეექვსე ყრილობისათვის. ქართული სატელევიზიო ფილმები: „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“, „იპოდრომი“. 17.45 — მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება — ლიტვა. 18.20 — „ცვლა“. — „წარმატების მიზეზი“. სატელევიზიო კინოკურსის ლაურეატი. 18.45 — განცხადებები. 18.50 — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი „შრომა და დასვენება“. 19.30 — ახალგაზრდობისათვის „შუქნიშანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“. 21.55 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „თეატრალური ფოსტა“. 23.40 — საინფორმაციო გამოშვება. 23.50 — სან-რემოს ფესტივალზე (მ.).

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დადგმა „ქვის მბრძანებლები“. 18.10 — მოსწავლეთათვის ფიზიკა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

14 ᲛᲐᲠᲢᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჟიზელი (კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის ტატიანა ტაიაკინასა და სსრ კავშირის სახალხო არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის ვალერი კოვტუნის გასტროლები); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მაია წყნეთელი (პრემიერა); თბილისის სახელმწიფო დრამატული — ჭინწრაქა (მე-5 აბონ. მე-4 წარმ.); მინიატიურების სახელმწიფო — ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები; ფილარმონია — ეპრაული კამერული მუსიკალური თეატრი (დიდ საკონცერტო დარბაზში); უკრავს ე. გულისაშვილი — ფორტეპიანო (კონსერვატორიის მცირე დარბაზში).

ᲠᲕᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

14 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — საკონცერტო დარბაზში მოსწავლეები არიან. 10.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.40 — მულტფილმები. 11.10 — „სოფიო კოვალევსკაია“. მეორე სერია. 12.20 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.50 — რუსული მეტყველება. 17.20 — ახალი ამბები. 17.25 — ერმიტაჟი. რემბრანდტი. 17.55 — მღერის და ცეკვავს ახალგაზრდობა. 18.10 — მხატვრული ფილმი „ბანაკელი მეგობრები“. 19.15 — ამ დღეების ფოსტა. გადაცემას უძღვება ვ. ჰ. ბეკეტოვი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.10 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 20.50 — „სოფიო კოვალევსკაია“. მესამე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 23.35 — დღეს მსოფლიოში. 23.50 — სან-რემოს ფესტივალზე.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 19.20 — დოკუმენტური ფილმები. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. მე-8 კლასი. 10.05 და 14.10 — ინგლისური ენა. 11.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 11.30 და 12.40 — XVIII საუკუნის რუსული ხელოვნება. არქიტექტურა. 12.00 — ვ. ა. მოცარტი. 13.10 — ფიზიკა. მე-7 კლასი. 13.40 — საბჭოთა სახვითი ხელოვნება. 20-30-იანი წლების პეიზაჟური ფერწერა. 14.40—ასტრონომია. მე-10 კლასი. 15.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი ანტირელიგიურ თემაზე. 15.20 — ი. ს. სოკოლოვ-მიკიტოვი. ცხოვრება და შემოქმედება. 16.00 და 19.00 — ახალი ამბები. 19.30 — „დებიუტი“. მღერის ასაკი კუმბარატოვა. 19.45 — პოკეი. შესვენების დროს (21.00) — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სათავგადასავლო ფილმის ეკრანი. „რესპუბლიკის განძი“. 23.55 — ახალი ამბები.

ᲗᲕᲘᲚᲘᲡᲘ

14 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.35 — მოამბე. 10.05 — ხალხური შემოქმედება — „მე ჯავახეთს რა მიშავდა“ (განმეორებით). 10.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ძმა“. 11.40 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფირმის საიდუმლოება“. 12.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „ტვირთი“, „ადამიანი დაიბადა“. 13.10 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.40 — საინფორმაციო გამოშვება. 13.55 — ხალხური შემოქმედება „ხელიხელ საგოგმანები“... 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო“. საქართველოს კინემატოგრაფისტთა მეექვსე ყრილობისათვის. ქართული სატელევიზიო ფილმები: „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“, „იპოდრომი“. 17.45 — მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება — ლიტვა. 18.20 — „ცვლა“. — „წარმატების მიზეზი“. სატელევიზიო კინოკურსის ლაურეატი. 18.45 — განცხადებები. 18.50 — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი „შრომა და დასვენება“. 19.30 — ახალგაზრდობისათვის „შუქნიშანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.).